საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 27 აპრილი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით [illegible] მანეთი, [illegible] 3 მანეთი. განცხადებების ფასი [illegible] ბოლო გვერდზე [illegible] 5 მანეთი. [illegible] 6 მან. [illegible] 15×2 სტრიქონის [illegible] 100 მანეთი. [illegible] რედაქცია და კანტორა [illegible] ტელეფონი 16—82

№ 93 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 93

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 მაისს, 12 საათზე სოფელ ვაშნარში (გურიაში) ძმათა სასაფლაოზე დანიშნულის

სამოქალაქო პანაშვიდი

ვაშნარში და ოზურგეთში დახვრეტილ მებრძოლთა პატივსაცემად. ქ. ოზურგეთიდან 11 საათზე პროცესია ჯვრისკაცთა, გვარდიელთა და მოქალაქეთა გაემართება ვაშნარისაკენ. მოუწოდებთ მოქალაქეებს მიიღონ მონაწილეობა.

პანაშვიდის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე გ. მურვანიძე, მდივანი შ. ჭოჭუა. (1418—3—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მისი შვილებით: გიორგი, [illegible], [illegible] და ნუნუ (ნინა) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

თომა გიორგის ძე კალანდაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება [illegible] წმ. გიორგის ეკლესიაში ხუთშაბათს, 29 აპრილს (ძველი სტილით) (1416—1—1)

[illegible] ამხანაგს [illegible] და [illegible] ნათესავთ ნაცნობთ და ამხანაგებს—[illegible] საყვარელი ამხანაგის და [illegible] სტუდენტის

მირონი ივანეს ძე ჩხეტიას.

პანაშვიდი ყოველ დღე ქ. [illegible] ეკლესიაში, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვის დღე გამოცხადდება განსაკუთრებით (1415—2—1)

გულდამწუხრებულნი: დედა [illegible] გიორგის ასული, ძმები: [illegible], [illegible], [illegible] და შუშანა, სიძეები: [illegible], [illegible] და [illegible] [illegible] და მეგობრებს—[illegible] თავის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი შვილის და ძმის

ბენიამე ალექსანდრეს ძე გერიძის,

რომელიც მოხდება [illegible] (გურია) 29 აპრილს, დილის 10 საათ. (1411—1—1)

კავკასიის დამზღვევი და სატრანსპორტო საზოგადოება

წესდება დამტკიცებულია მთავრობისაგან 1918 წ.

ძირითადი თანხა და [illegible] მნიშვნელოვანი [illegible] თფილისის ბანკებში.

საბჭო და გამგეობა საზოგადოებისა იმყოფება თფილისში.

ლიკვიდაცია და ცეცხლიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება დაუყონებლივ.

საზოგადოება სარგებლობს ყველა სახის და, [illegible] და [illegible], სავაჭრო ფირმების და სახლის პატრონების განსაკუთრებული ნდობით.

დაზღვევა ცეცხლიდან.

მოძრავი და უძრავი ქონებისა, სახლის, ფაბრიკის და ქარხნების მიიღება გამგეობის კანტორაში (სოლოლაკის, 3. ტელეფ. 11, ყოველ დღე დილის 10 საათ.— 2 საათამდე. (1402—2—3)

ცირკი „იპპოდრომი"

(ყოფილ ძმ. ეფიმოვებისა) პლეხანოვის პროსპექტი მუშტაიდის მახლობლად.

სამშაბათს 27, ოთხშაბათს 28 აპრილს გაიმართება

სადებიუტო წარმოდგენები

ა. ა. დუროვის მონაწილეობით დღეს პირველად! სენსაცია! ფურორი. დუროვის ცხოველთა ალეგორიული სვლა. დღეს პირველად მონოლოგი დუროვისა „საქართველოს ალორძინება", დღეს პირველი დებიუტი „წითელი ეშმაკისა" მიუბაძავი სატანიური მიმიკა. სინალის ეფექტები. ანონსი: კვირას 2 მაისს დღითი საბავშვო წარმოდგენები დუროვის მონაწილეობით დასაწყისი დღის 1 საათზე. მზადდება დასადგმელად არაჩვეულებრივი ბენეფისი ცნობილ ა. დუროვისა. დირექცია ს. ნ. ქუთათელაძე და ლ. ბუფალო.

ბორჩალოს მაზრის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

კვირას, 2 მაისს ახ. სტ. [illegible] ბორჩალოს მაზრის ს. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა

საერთო ყრილობა

ყველა სოფლის ორგანიზაცია [illegible] თითო წარმომადგენელს ყოველ 10 პარტიის წევრზე. დღის წესრიგში იქნება: 1) მოხსენებანი ადგილებზე პარტიულ მუშაობაზე; 2) ცენტრალური კომიტეტის მიერ წამოყენებული კითხვების გარჩევა; 3) სამაზრო კომიტეტის არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები.

(ფ. 3—1) დროებითი საორგანიზაციო ბიურო.

პარიზიდან ჩამოსული ვაჭარი **ყიდულობს** ძვირფას ნივთებს, **ბრილიანტებს, მარგალიტებს, ზურმუხტს** და სხვ. მსურველს შეუძლია მიმართოს ი. ქ. [illegible], [illegible], შტაბის ქ. № 4, ყოველ დღე დილის 10—2 საათ. (1359 6—4)

ქართული სავაჭრო აქციონერულმა ბანკმა ქ. ფოთში ფინანსთა მინისტრის მიერ 9 აპრილს, 1920 წლის დამტკიცებულ წესდების თანახმად უკვე დაიწყო მოქმედება 19 ამა აპრილიდან და აწარმოებს ყოველგვარ, წესდებით ნებადართულ

საბანკო ოპერაციებს

(ნ. 3—3) გამგეობა ქართული აქციონერული ბანკისა ქ. ფოთში.

ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო

სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის თემების გამგეობებს, თემებისა და რკინის გზის ადმინისტრაციას [illegible] იმ პირთ, ვისაც ეროვნული საბჭოს [illegible] გამოაქვთ სანოვაგე ბათომში შესატანათ. და [illegible] საბჭოს [illegible] იმათი, რომელნიც თემების და ადმინისტრაციის აზრით [illegible] სარგებლობენ ხსენებული მოწმობებით. საბჭოს მისამართი ქალ. ბათომში მარიინსკის ქუჩა № 48. (1160—16—9)

ნოე ნიკოლოზის ძის ჟორდანიას

სრულ თხზულებათა კრებულის გამოცემას შეუდგა

„ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა".

ამა წლის მაისიდან დაწყებული დაიბეჭდება თვეში არა ნაკლებ ერთი ტომისა.

სულ გამოვა 15 ტომამდის.

წიგნები დაიბეჭდება საუკეთესო ქაღალდზე ლამაზად, თითო ტომი იქნება 300 გვერდამდის და ეღირება არა ნაკლებ 55 მანეთისა.

კრებული დაიბეჭდება განსაზღვრული რიცხვი. მიიღებენ მხოლოდ ხელის მომწერლები.

მიიღება ხელის მოწერა

ხელის მომწერლებმა უნდა წერილობით აცნობონ გამომცემლობას, თუ რამდენი წიგნის მიღება სურთ. უნდა გამოგზავნონ ფოსტით თითო ცალ წიგნზე 30 მანეთი და გარკვევით მოიწერონ თავისი მისამართი. გამოცემული წიგნები ხელის მომწერლებს დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ გამომცემლობის მიერ დარჩენილი ფულის ფასდადებით. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა", რუსთაველის პროსპ. № 26, ტელეფ. № 4—73. (1400—3—2)

განცხადება

ამით ვაუწყებთ ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩაზე, ფიზიკის სახლის ზედა სართულში, გაიხსნა სამკერვალო.

„ქალთა სალონი"

სადაც მიიღება ყოველგვარი ქალთა ტანსაცმელების შეკვეთა და რომელიც შესრულებული იქნება, თფილისიდან მოწვეულ საუკეთესო მოხელეების მიერ. პატივისცემით ქ-ნ ო. ანჯაფარიძისა ნ. კიკვიძის ასული. (1417—2—1)

სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა ყრილობის ბიურო

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ შემოწმებული საუკეთესო ფირმების (ხრისტოდულიდის და სხვ.)

აბრეშუმის თესლის

შეძენა შეღავათიან პირობებში შეიძლება თფილისის და ქუთაისის საბრეშუმო სადგურებში, კოოპერატივებში, თემში, ქალაქის თვითმართველობაში, სარაიონო კავშირში—ხონში, სამტრედიაში, აბაშაში, ახალსენაკში, ზუგდიდში, ოჩემჩირეში, სოხუმში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, საჯევახოში, ზესტაფონში, ონში, ცაგერში, თელავში, გორში, სიღნაღში და სხვა. (ნ. 3—1)

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია.

[illegible] ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია. პირველი და [illegible] პირობა მისი მუშაობის ნაყოფიერებისათვის სხვა საკითხების გარდა [illegible] წინასწარ უნდა შეწყდეს ის სისხლის ღვრა, რომელიც [illegible] სისხლის ღვრა არ იქნება შეწყვეტილი, კონფერენციის მიერ სხვა საკითხის განხილვა ცარიელი წყლის ნაყვა იქნება. კონფერენციის დღიურ წესრიგში დგას ისეთი საკითხები, როგორიც არის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიერ საერთო თავდაცვის მოწყობა, საზღვრების საკითხის მოგვარება, ეკონომიური ხასიათის შეთანხმებები, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციის შექმნა და სხვა. არც ერთი ამ საკითხის მოგვარებაზე არ შეიძლება ლაპარაკი მეზობელთა შორის ომის ატმოსფერაში. თავდაცვის ორგანიზაცია გარეშე მტრისაგან მხოლოდ მაშინ არის მოსახერხებელი, როდესაც მეზობლებს ერთმანეთის ნდობა აქვთ. საზღვრების საკითხის ნორმალური მოგვარება იმ დროს, როდესაც ამ საზღვრების გულისათვის სისხლის ღვრა სწარმოებს, სრულიად [illegible] საქმეა.

კონფერენციაზე ლაპარაკი ომის ატმოსფერაში ცარიელი ლაყბობა იქნებოდა. კონფერენცია ერთს ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ, სანამ ამიერ კავკასიის რესპუბლიკები საერთო ძალღონით ომს არ შეაჩერებენ.

კონფერენციის სხდომების ოქმები გვიჩვენებენ, რომ სწორედ ეს საკითხი —ომის შეჩერება— ყოფილა მეტად რთული და ძნელი. [illegible] სხდომა მიანდომა კონფერენციამ ამ საკითხს. მან [illegible] ისეთი წერილობითი [illegible], [illegible] შეთანხმებას და კონფერენციის [illegible] რომ სისხლის ღვრის შეწყვეტა აუცილებელი წინასწარი პირობაა კონფერენციის მუშაობის განვითარებისათვის, [illegible] ომის შეჩერება თითქმის ორივე მხარეს [illegible]. მაგრამ რომელი [illegible]? [illegible] საკითხი გადაექცა კონფერენციისათვის [illegible] დაბრკოლებად. სომხების დელეგაცია მოითხოვს, რომ მორიგების პირობებში შევიდეს ყველა ის შეთანხმებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის: აქ მას ხაზში [illegible] აქვს 22 აგვისტოს შეთანხმება აზერბეიჯანის მთავრობისა და ყარაბაღის სომხობის [illegible] შორის, რომლის ძალითაც [illegible] ეროვნული საბჭო სცნობდა ყარაბაღს აზერბეიჯანის ნაწილად, მაგრამ აზერბეიჯანის მთავრობა თავის მხრით აძლევდა ყარაბაღს სრულ ავტონომიას. აზერბეიჯანის დელეგაცია, პირიქით, წინააღმდეგია 22 აგვისტოს შეთანხმების ხსენებისა და თანახმაა [illegible] მხოლოდ ის შეთანხმება, რომელიც დადებული აზერბეიჯანსა და სომხეთს შორის 23 ნოემბერს და რომლის ძალითაც ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანის გზით უნდა მომხდარიყო. 12 აპრილის სხდომაზე კონფერენციამ ხანგრძლივი და ცხარე კამათის შემდეგ, როგორც იქნა შეიმუშავა კომპრომისული რეზოლიუცია, [illegible] ძალით „უნდა აღდგენილ იქნეს ის [illegible] მდგომარეობა, რომელიც არსებობდა უკანასკნელ შეტაკებამდე და [illegible] სათანადო მთავრობებთან". რეზოლიუცია 12 აპრილს იქნა მიღებული, მაგრამ 13 აპრილს აზერბეიჯანის დელეგაციამ გადაჭრით მოითხოვა მისი გადასინჯვა.

კონფერენცია მას შემდეგ სხვა საკითხის განხილვას შეუდგა. ხსენებული საკითხი კი გადაიდო იმ დრომდე, სანამ არ დაბრუნდება ომით მოცულ რაიონებში გაგზავნილი კომისიები, რომლებმაც თავისი დასკვნა უნდა მოახსენონ კონფერენციას იმაზე, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს ომის შეჩერების საკითხს.

თუმცა კონფერენციის მუშაობა გრძელდება, მაგრამ მთელ მის საქმიანობას [illegible] ის საკითხი, რომელიც აქამდის გადაუწყვეტელი დარჩა. სისხლის ღვრა დაუყონებლივ უნდა შეჩერდეს. ეს კი მხოლოდ ერთის პირობით არის შესაძლებელი; ორივე მხარემ უნდა გულწრფელად და მტკიცეთ მოინდომოს თავის ხელიდან [illegible] იარაღის ამ საშინელის და დამღუპველ [illegible], რომელზედაც უკანასკნელი ომი სწარმოებს; ორივე მხარემ უნდა [illegible] იმაზე, რომ [illegible] 23 ნოემბრის [illegible] შესაძლო და რაიმე ახალ პაქტის შემუშავება [illegible].

ბათომის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისი

ბათომიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ:

„მეჯლისმა 24 აპრილის სხდომაზე განიხილა [illegible] ყრილობის დადგენილებანი, რომ ბათომის ოლქი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და სთხოვს საქართველოს მთავრობას წესრიგის დასაცავად და ცხოვრებათა სიცოცხლის და ქონების უზრუნველსაყოფად დაიკავოს ბათომი და ბათომის ოლქი თავის ჯარებით. მეჯლისმა [illegible], რომ საზავო კონფერენცია [illegible] ბათომის ცალკე გამოყოფას და [illegible] სისხლის [illegible] ამის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე [illegible], წევრნი [illegible].

—

(23 აპრილის სხდომაზე მიღებული რეზოლიუციები).

I.

ქ. ბათომისა და ბათომის ოლქის დედა სამშობლო საქართველოსთან ავტონომიურად გაერთიანების შესახებ.

ბათომის ოლქის მკვიდრთა წარმომადგენლობის ყრილობამ გასული წლის აგვისტოს 31-ს ერთხმად დაადგინა, რომ ბათომი და ბათომის ოლქი, როგორც განუყოფელი ნაწილი საქართველოსი, უნდა შეუერთდეს დაუყონებლივ ფართო ავტონომიურად თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას..

ყრილობამ აირჩია წარმომადგენლობითი დაწესებულება—მეჯლისი, რომლის დანიშნულებაც არის [illegible] ზემოხსენებული დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, თვითონ მას შესაფერი ზომების მიღება ყრილობის ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ზემოხსენებული დადგენილება ეცნობა აგრეთვე პარიზის საზავო კონფერენციას.

წინააღმდეგ მკვიდრთა გადაწყვეტილებისა, პარიზის კონფერენციამ განიზრახა ბათომის ოლქის [illegible], დაყოფა, ბათომის ქალაქის გამოყოფა ცალკე ერთეულად და მისი გადაცემა ერთი [illegible] ხელში.

ჩვენ, მთელი ოლქის წარმომადგენელთა ყრილობის არჩეული მეჯლისის წევრნი, შეკრებილნი ბათომში ამა 1920 წ. აპრილის 23-ს გამოვსთქვამთ მხურვალე პროტესტს ასეთი ძალადობის წინააღმდეგ და შეურყეველად [illegible], რომ შეუწყნარებელია ბათომის ოლქის და ქალაქის დანაწილება და მით საქართველოს ჩამოშორება, რომ ჩვენი კუთხის დამშვიდება, წესიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაწყება აქ და მკვიდრთა გონებრივი თუ ქონებრივი წარმატება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ მთელი ბათომის ოლქი შეუერთდება საქართველოს რესპუბლიკას ფართო ავტონომიურ ნიადაგზე.

გამოვთქვამთ რა ამით მთელი ხალხის ნებას [illegible], აღვნიშნავთ [illegible], რომ [illegible] ძალები სხვადასხვა მიმართულებისა და [illegible] ჩვენი მხარის [illegible]. ეს გარეშე ძალები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ქ. ბათომსა და მის ოლქთან, ყოველ ძალღონეს ხმარობენ ჩვენში არევ-დარევის შესატანათ და მით გვიშლიან ჩვენ მოვაწყოთ ჩვენი ბედი ისე, როგორც შეეფერება ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს.

ბათომის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსულმანები, ხალხი ისტორიით, სისხლით და ხორცით, ენით ქართველები—ვაცხადებთ ყველას, რომ არავის მივცემთ უცხოს ნებას ჩაერიონ ჩვენ საქმეებში და [illegible] ჩვენს [illegible].

[illegible] საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას [illegible] 31 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად და მოახდინოს თავის ჯარებით ბათუმის ოლქისა და ქ. ბათუმის დაკავება, რომ მით დაიცვას მკვიდრი ხალხის სი-

დღეს

სან-რემოს კონფერენცია განაგრძობს ოსმალეთის, სომხეთის და ბათომის საკითხების განხილვას.

თემთა პალატაში ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკება სწარმოებს ყირიმში შექმნილი მდგომარეობის გამო.

ლიტვის მთავრობა თანახმაა აწარმოოს საზავო მოლაპარაკება რუსეთთან მოსკოვში.

თფილისში აღმოჩენილ იქნა კომუნისტ ტერორისტების ორგანიზაცია.

ბათომის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისმა 23 აპრილის სხდომაზე დაადასტურა გასულ წლის აგვისტოს 31-ის სხდომაზე გამოტანილი რეზოლიუცია ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთან ავტონომიურათ შეერთების შესახებ. მეჯლისი ითხოვს მთელი ოლქის საქართველოს ჯარებით დაკავებას.

ლიერი სიმშვიდე და დაეხმაროს მას იმ ანარქიის მოსასპობლად, რომელიც დღითი დღე ძლიერდება და დიდ საფრთხეს უმზადებს ხალხის სიცოცხლეს და ქონებას.

II.

ქ. ბათომში და ბათომის ოლქში სამუსლიმანო საქართველოს მტერთა თავაშვებული აგიტაციის შესახებ.

ბათომის და მისი ოლქის ხელოვნურად საქართველოსგან ჩამოშორებამ შექმნა აუტანელი პირობები ადგილობრივ მცხოვრებთათვის, რომელთა 95 პროცენტს შეადგენს მუსლიმანი ქართველობა. არ სებობს მთელ მხარეში ხალხის მიერ არჩეული ერობა და მუნიციპალური თვითმართველობა, არც მართლმსაჯულება, არც ადმინისტრაცია. თვით ბათომში მილიცია სრულიად არაადგილობრივ ელემენტებისაგან შესდგება. ამის გამო მთელ მხარეში გაბატონებულია არის თავ-აშვებული სპეკულიაცია, მძვინვარებს შიმშილობა და საზოგადოთ წარმოუდგენელი სიღატაკე. ყველა ამ მოვლენებით სარგებლობენ მავნე ელემენტები, განსაკუთრებით რუსეთიდან გადმოხვეწილი ბოლშევიკები და დენიკინელნი და აგრეთვე ბნელი მოსყიდული პირები ეგრეთ წოდებულ „სუდთი მილეთი" ჯგუფიდან, რომელნიც ხელი ხელ ჩაკიდებულნი ოსმალეთიდან გამოგზავნილ „ერთობისა და პროგრესის" პარტიის აგენტებთან უწევენ აგიტაცია-პროპაგანდას უმწეო მდგომარეობაში მყოფ ხალხის შეუგნებელ ნაწილებში ბათომისა და მისი ოლქის ანარქიის ალში გასახვევათ. ბოლშევიკები და დენიკინელები იმის მაგიერ, რომ მადლობელი იყვნენ ადგილობრივი ხალხის სტუმარ მოყვარეობით, გაკადნიერდნენ იმდენად, რომ ერევიან ჩვენს შინაურ საქმეებში და ლამობენ ბათომისა და ბათომის ოლქის ბოლშევიკურ რუსეთთან გაერთიანებას. უკანასკნელათ ჩვენ მოვესწარით იმ დღესაც, რომ ბათუმში დაუკითხავად გადამთიელმა ბოლშევიკებმა საჯაროთ და დემონსტრატიულათ დადგენილება გამოაქვეყნეს ბათუმისა და ბათუმის ოლქში საბჭოთა რუსეთის ძალა უფლების გავრცელების შესახებ.

აცხადებს რა თავის სასტიკ გულისწყრომას ამ სრულიად არანორმალური და დაუშვებელ მდგომარეობის წინააღმდეგ, მეჯლისი აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველო არ მისცემს ნებას ასეთი თავაშვებულ თარეშისას ვიღაც გადამთიელს და სთხოვს საქართველოს მთავრობას მიიღოს დაუყოვნებლივ სათანადო ზომები ხალხის ასეთ ვითარებისაგან დასახსნელად.

III.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობის შესახებ.

მოისმინა რა მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ სახელმწიფოს სიმტკიცე და ნორმალური განვითარება ხსენებულ რესპუბლიკებისა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის არსებობს ურთიერთისადმი ნდობა და სოლიდარობა, აღშფოთებით აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის მთავრობა ბათომის ოლქში დაუშვებელ არალოიალობას იჩენს ჩვენს დიდ სამშობლო საქართველოსადმი, რომელიც გამოიხატება მის ოფიციალური და არა ოფიციალური აგენტების მუშაობაში ბათუმსა და ბათუმის ოლქში წინააღმდეგ გასული წლის აგვისტოს ხალხის წარმომადგენელთა ყრილობის ერთხმივ დადგენილებისა ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთან ავტონომიურათ შეერთების შესახებ.

მეჯლისი შეუწყნარებლათ სთვლის ბათომის საკითხის საერთაშორისო საკითხათ გადაქცევას, რასაც ცდილობენ აზერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობანი.

მეჯლისი ერთხმად აცხადებს, რომ ბათუმის და მისი ოლქის საკითხი არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს საშინაო საკითხი და ამიტომ რამდენადაც აზერბეიჯანი და სომხეთი დაინტერესებულნი არიან ბათუმის ნავთსადგურით, როგორც ევროპისაკენ გასავალი გზით, იმდენათ ისინი უნდა მიმართავდნენ საქართველოს მთავრობას, რომელიც დააკმაყოფილებს მათ სათანადო საჭიროებას.

მეჯლისი აგრეთვე ითხოვს საქართველოს მთავრობას, რომ მან ეს რეზოლიუცია გადასცეს აზერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობებს.

სადღეისო წერილები

I.

თფილისი და მოსკოვი.

უკანასკნელი ცნობებით საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება თფილისისადმი უკიდურესია, რადგანაც საქართველო რუსეთში ასაზრდოებს მენშევიკურ ოპოზიციას. ისინი (ბოლშევიკები) იმედებს ამყარებენ საქართველოს შინაურ აჯანყებებზე.

ასე ფიქრობს მოსკოვი თფილისზე დღეს, როცა საბჭოთა იმპერიალისტური ჯარები ჩრდილო კავკასიაში ამიერ-კავკასიის საზღვრებზე აწარმოებენ სამოქალაქო ომს და ემუქრებიან ამიერ-კავკასიის ხალხთა მშვიდობიანობას.

მიმდინარე მომენტი, რომელიც დამაფიქრებელია თავისი საშინელი, რთული მოვლენებით, სრულიად განსხვავდება სხვა ისტორიულ ხანებიდან და ამიტომ გზებით ისეთ ამბებს, რომელთა მსგავსს კაცობრიობა არას დროს არ მოსწრებია.

„კომუნისტურმა" მთავრობამ გააუქმა ყველა თავისი [illegible], უარჰყო ბედნიერების აღთქმანი და გახდა მოსკოვი თავისი იდეით, მოძრაობით, ბოლშევიკური დროშით თფილისის უპირდაპირობის [illegible]...

თფილისი და მოსკოვი ერთი მეორეს წინააღმდეგ ფაქტიურად გადაიქცა ბოლშევიკური მოძრაობის [illegible]...

მოსკოვმა ხელში აიღო ინიციატივა რუსეთის „მეშჩანური", გლეხური ბუნტარიზმისა... მანვე დაისახა მიზნათ ძველი სლავიანური იმპერიალიზმის საფლავიდან წამოყენება და მანვე იკისრა ველური ქვეყნების მეთაურობა, აზიური „სოციალიზმისათვის".

მოსკოვი იქცა სათავე საბედისწერო ისტორიისა.

გზა აზიისაკენ, ასეთი არის მიდრეკილება მოსკოვისა.

თფილისი, რომელიც მეთაური იყო ამიერ-კავკასიისა, რომელმაც შეირჩინა სახე და მიმდინარეობა დემოკრატიისა, რომელიც დაუპირდაპირდა მოსკოვის მიმართულებას, ზურგი შეაქცია აზიურ „სოციალიზმს" და გაჰყვა ევროპის სოციალისტურ, დემოკრატიულ მოძრაობას.

გზა ევროპისაკენ, სოციალისტურ მოძრაობისაკენ, ასეთი იყო და არის თფილისის მისწრაფება.

ჩიჩერინის ნოტა სამოქალაქო ომზე ჩარევის შესახებ, ჩიჩერინის პროკლამაციები კავკასიის ხალხებს მიმართ რადიოთი გადმოცემული, ეს ამიერ-კავკასიის ხალხის წინააღმდეგ გამოლაშქრებაა, და ამით ფიქრობენ მთლიანობას აზიურ „სოციალიზმისას."

თფილისი იქცა ერთ პოზიციად. თფილისის და მოსკოვის გზები არ მიხვდა ერთ პლატფორმაზე, არც წინეთ.

თფილისი საშიშარი გახდა მოსკოვისათვის, მოსკოვი თფილისისათვის.

დღეს, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც სლავიანურმა ლტოლვამ გამოხმაურება ჰპოვა მახლობელ აღმოსავლეთში; ბოლშევიკური პან-სლავიზმი დაუკავშირდა პანისლამიზმთან და როდესაც დღითი დღე მოსალოდნელია პირისპირ შეყრა მოსკოვისა და თფილისისა ბრძოლის ველზე, გუშინდელი ცნობები აშკარათ ამტკიცებენ, რომ მოსკოვისათვის თფილისი დაუშვებელია. „კომუნიზმი" ასე აყენებს კითხვას; ან თფილისი, ან მოსკოვი.

1918 წლის იანვრის მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა ყრილობაზე ლენინის ცნობა-სიტყვების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამი იყო: „ცენტრალური სახელმწიფოები იპყრობენ პოლონეთს, ლიტვას, ლატვიას, უკრაინელებს, ბელორუსებს, ესტონელებს, ფინლანდელებს, სხვებს და ამგვარად სპობენ ნამდვილ თვითგამორკვევის უფლებას და სხვა".

მას შემდეგ საბჭოთა მთავრობამ არა ერთი დეკლარაცია გამოსცა წვრილ ერთა შიმართ და აღუთქვამდა განთავისუფლებას. სინამდვილეში მან მოსპო წვრილი ერები, ცეცხლით და მახვილით გაანადგურა, ბედნიერების ავაზაკთა ბრბოებით აიწიოკა.

მოსკოვი იქცა წვრილ ერთა მესაფლავედ.

იმ პროკლამაციებში, რომლებიც ყოველ დღიურად გამოდის ადგილობრივ ბოლშევიკების მიერ ლენინის მილიონებით, ყველგან ნათქვამია: „რუსეთის გამარჯვებული მუშათა მთავრობა ამყარებს ბედნიერებას და შემოგვიერთდით". დღეს იმ დროს, როცა რუსეთში მუშებმა დაჰკარგეს ყოველგვარი თავისუფლება, ნივთიერი და სულიერი კეთილდღეობა და მიხვეწილი გახდნენ ბოლშევიკური ტალღებისა ..

მოგონება იმ ეპიზოდებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა რუსეთის ისტორიაში, ნათლად ჰყოფენ რუსეთის მოწინავე პროლეტარიატის დამარცხებას, მის ტრაგედიას.

საკმარისია მოვიგონოთ 1918 წლის იანვრის ამბები, როდესაც ბოლშევიკების ძალადობის წინააღმდეგ ამხედრდნენ პეტროგრადის მოწინავე მუშები, და ბოლშევიკურმა „არმიამ" სისხლით შეღება პეტროგრადის ქარხნები.

იმ რეზოლიუციებში, რომლებიც პეტროგრადის მუშებმა ქვეყანას, საერთაშორისო პროლეტარიატს აუწყეს, ჩვენამდი კი ბევრი მოაღწია, ნათქვამი იყო: „ჩვენ რევოლიუციონერი პეტროგრადის მუშები ზიზღს და პროტესტს ვუცხადებთ სახალხო კომისრების საბჭოს ქარხნებზე მუშების გაძღომის გამო. თვითმპყრობელ კომისრების ეს პოლიტიკა არაფრით არ განსხვავდება [illegible] ტრეპოვის, პროტოპოპოვის პოლიტიკისაგან; მათ, რომლებიც თავის-თავს სახალხო კომისრებს უძახიან, სახლის სახურავებზე ტყვიისმფრქვეველები დასდგეს და მშვიდობიან მუშებს ტყვიები დაუშინეს.

და როგორც ოდესღაც რევოლიუციონერ მუშებმა დროშა აემართეთ მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, ეხლაც ისე აემართავთ დროშას ხალხის უფლების ძალით ხელში ჩამგდებთა წინააღმდეგ და ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ამასთან ერთად ჩვენ ვატყობინებთ საერთაშორისო პროლეტარიატს, თუ რა საზიზღრობა ჩაიდინეს მათ, რომელნიც ბედავენ თავის თავს სოციალისტები უწოდონ, და მოვითხოვთ მათ გარიცხვას ინტერნაციონალიდან. წყევლას და კრულვას ვუცხადებთ ჯალათებს" და სხვა.

და ამ ბრძოლაში ქალაქის მოწინავე მუშები დამარცხდნენ.

რუსეთის სოფლის სტიქიამ ბოლშევიკურ „სოციალიზმით" დაამონავა პროლეტარიატი და [illegible].

რუსეთში მეცნიერული სოციალიზმი შეიცვალა „მუჟიკურ" ანარქიზმზე, პანსლავიზმზე.

ეს მოძრაობა ხასიათდება მოსკოვით. ამ მოძრაობას არავითარი კავშირი არ ჰქონია რუსეთის მუშათა მოძრაობასთან. ბოლშევიზმს კი არ წარმოუშვია „ბოლშევიკური კომუნიზმი", არამედ— იგი ღვიძლი შვილია ჩამორჩენილ რუსეთის სინამდვილისა და არავითარი მსგავსება არ აქვს არც ერთ ისტორიულ მოვლენებთან.

1871 წლის პარიზის ხანმოკლე კომუნას ახასიათებდა პროლეტარიატის პოლიტიკური განწყობილება, რომელიც ეყრდნობოდა მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილზე და ტერორს, ძალადობას არ სცნობდა. კომუნის 70 დღის სიცოცხლეს არ ჰქონია ეპიზოდები გარეთ ძალადობის და სიკვდილის დღეებისა.

რუსეთში ტერორიზმით დაიწყო ბოლშევიზმმა თავისი მოქმედება (სამოქალაქო ომი), და მიაღწია ბოლოს იმპერიალისტური თავდასხმებამდე.

თფილისმა აიცილა სამოქალაქო ომი, ქვეყნის განადგურება, იხსნა დემოკრატიზმი გათახსირებისაგან და სწორი მიმართულებით მიდის წინ. მას ებრძვის მოსკოვი და რადგანაც შინით ვერ მოაწყო გადატრიალება, ემუქრება თავისი ხიშტებით, გარეშე ძალით. მოსკოვი ხედავს თფილისში საფრთხეს, რადგანაც თფილისი აზიის რეაქციის მესაფლავე, დემოკრატიულ იდეების მატარებელია, მოსკოვის დიქტატურის, იმპერიალიზმის ლახვარია. თავისუფალ ერთა მოსარჩლე .. მოსკოვი იქცა აზიის რეაქციის მეთაურად: თფილისი აზიის [illegible], დემოკრატიის მესვეურად, ევროპულ სოციალიზმის წინამძღოლად ამაში...

მოსკოვმა ითამაშა დიდი როლი აზიურ ქვეყნებში რეაქციის სასარგებლოთ: თფილისმა აზიის აღორძინებისათვის.

მოსკოვმა ხელი გაუწოდა ოსმალეთის აზიურ აღმოსავლეთურ დიპლომატიურ პოლიტიკას. ოსმალეთმა დაადასტურა რუსული „ბოლშევიზმი", რადგანაც მასში დაინახა პანისლამისტური მოძრაობის [illegible].

თფილისი კი გამოეყო ბოლშევიკურ-სლავიანურ და პანისლამისტურ „სოციალიზმს".

თანამედროვე თფილისი მიზანშია ამოღებული. ნოტები და [illegible] გვეთავდა მოსკოვიდან.

დღევანდელი [illegible] მოძრაობა და შინით მზადება ამ მხრით არის მიმართული.

ანანია.

კომუნისტური ჩრდილო კავკასიაში

გუშინ დავბრუნდი ყუბანიდან და შავი ზღვის გუბერნიიდან. ოთხი დღის წინეთ გამოვედი ნოვოროსიისკიდან. ჩემს თვალწინ მოხდა მოხალისეთა ჯარების ყუბანში და ნოვოროსიისკში დამარცხება, რომელსაც მოჰყვა თან ჩრდილოეთ რუსეთიდან საბჭოთა წითელი ჯარების და მთელ ამ რაიონებში საბჭოთა მმართველობის აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ყუბანი ჩვენ მეზობლათ არის, ჩვენ ნაკლებათ მოგვდის აქედან ცნობები, ხოლო რაც მოგვდის, ისიც ნახევრად ყალბი და შეუმოწმებელი. ამ ცოტა ხანში მოწმე შევიქენით [illegible] წითელი ჯარების ახალი [illegible] გარდა ჩემს ხელში არის კომუნისტური გაზეთები ყუბანისა და რაც უმთავრესია, მოსკოვის გაზეთები, საიდანაც მკითხველი ნათლად წარმოიდგენს საბჭოთა რუსეთის შინაურ მდგომარეობას და მის ახალ პერსპექტივებს. ეს მით უფრო საჭიროა დღეს გაიგოს ამხანაგ მუშებმა, ვინაიდან ჩვენში რუსეთზე ჰქონიათ შთაბეჭდილებას მხოლოდ ან ბოლშევიკები, ან კიდევ მობოლშევიკო რუსეთის სოციალ-დემოკრატები, რომელნიც იქიდან ცხოვრებას საქართველოს ხალხს უხატავენ მიწიერ სამოთხეთ. დღეს წითელი ჯარები კავკასიონის ქედს მოადგნენ ჩრდილოეთიდან, მშვიდობიანათ თუ სხვა გზით საქართველოს რესპუბლიკას მოუხდება ამ ძალასთან ლაპარაკი, საქმის დაჭერა, და ამისათვის უნდა გვქონდეს გათვალისწინებული რა ძალა მოდის რუსეთიდან, ვისგან შედგება ეს ძალა, რა აწერია მათ დროშაზე, როგორ მოაწყო ამ ძალამ რუსეთის და განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის ცხოვრება, რა აზრისაა ის საქართველოზე და რას პირდება საქართველოს მუშათა კლასს. მე შევეცდები დაგიხატოთ ხერხათ უკანასკნელი ორი თვის ჩრდილოეთ კავკასიაში, დავახასიათო ის ბრძოლა, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოთ სწარმოებდა წითელ და თეთრ ჯარებს შორის და რა მიიღო შედეგად ამ ბრძოლის ხალხმა.

რათ დამარცხდენ მოხალისენი.

არასოდეს რუსეთის ხალხი არ ყოფილა ისეთ გზა-ჯვარედინზე, ისეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში, როგორც არის დღეს. მესამე წელია ის დაეძებს გამოსავალს, გადაეგდება ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობას, ეკედლება ხან ერთ და ხან მეორე პოლიტიკურ ჯგუფს, მაგრამ დღემდე მას „თავისი მთავრობა" არ ჰყოლია. მე ვნახე გლეხები დონიდან და სტავროპოლიდან გადმოხვეწილნი, ვნახე მოწინავე მუშები ყუბანის და ნოვოროსიისკის რაიონებისა და ყველა, გლეხი თუ მუშა, საშუალო ინტელიგენტი, თუ უბრალო მოხელე ერთხმათ ამბობენ: „ხუთმეტი მთავრობა გამოვიცვალეთ ამ სამ წელში, მაგრამ არც ერთი მთავრობა ჩვენი არ იყო, ეხლა ვუცდით მეთექვსმეტე მთავრობას. მოვა ის, ვნახოთ, იქნებ ჩვენი გამოდგეს". და ამ ცდაში, ბინაში, ლოდინში, „ვნახოთ" ძახილში ინგრევა რუსეთი, ნადგურდება კულტურა, ნახევრათ ველურდება ხალხი. ხალხი ამბობს: „ერთი წლის წინეთ მოხალისეებს პურმარილით ვეგებებოდით, ის მეგვახსნდა ჩვენ მხსნელათ, დღეს, როგორც [illegible], [illegible] მივეგებით, გაგვამწარა მან". და მართლაც, ვინც წაიკითხავს დენიკინის უკანასკნელ ბრძანებებს და შემდეგ [illegible] ბატკინის სიტყვებს [illegible] წარმოთქმულს ნოვოროსიისკში მიტინგზე, ის დარწმუნდება და ნათლათ წარმოიდგენს, თუ რათ დამარცხდენ მოხალისენი. ერთ თავის ბრძანებაში უკანასკნელ დღეებში დენიკინი ამბობდა: „ჯარი და მით უმეტეს ჯარი ბრძოლის ველზე, ისტორიულად მმართველი იყო, მაგრამ ყველა ისტორიი-

მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლები

(კნუტ ჰამსუნის „სასუფევლის კარებთან")

23 აპრილის წარმოდგენაზე მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტებმა აგრძნობინეს თბილისის საზოგადოებას უმაღლესი ესთეტიური განცდა, რომლის მსგავსი იშვიათად უგრძნია მას. წარმოადგინეს კნუტ ჰამსუნის პიესა—„სასუფევლის კარებთან." პიესა დაწერილია დრამატიულ ხელოვნების ახალ მოთხოვნილებათა თანახმად; მის ავტორს სახეში ჰყავს არა მკითხველი, არამედ მაყურებელი. კლასიკური დრამები იწერებოდნენ მარტო სცენაზე დასადგმელად კი არა, წასაკითხადაც, ამიტომ იქ ყველაფერი დასრულებულია, ნათქვამია ყველაფერი, რის თქმაც ავტორს უნდოდა. იბსენის, მეტერლინკის, კნუტ ჰამსუნის, ჩეხოვის, პიესები კი უმთავრესად სცენისათვის არიან დაწერილნი და არა წასაკითხავად. ამიტომ იქ ბევრი რამ მხოლოდ ოდნავ აღნიშნულია, ბევრი რამეს მხოლოდ სცენაზე უნდა შეესხას სისხლ-ხორცი, უამისოდ სცენის გარეშე ნაწარმოები დაუსრულებლად ეგრე ჩაითვლება. სწორედ ამისთანა პიესები ეკუთვნის „მოსკოვის სამხატვრო თეატრს". ამისთანა პიესების დადგმა აძლევს მას საშუალებას თავისუფლად ფრთა გაშალოს და თავისი შემოქმედებითი უნარი სავსებით გამოიჩინოს.

კნუტ ჰამსუნის პიესა იმდენათ შინაარსით არ არის მდიდარი, რამდენადაც ულევი განცდით. გამოყვანილია ახალგაზრდა მეცნიერი,—ივარ კარენო —სავსე სულიერი ღელვებით და რწმენით. იგი დარწმუნებულია, რომ მეცნიერებას გადატრიალებს და ძირს დასცემს იმ კერპებს, რომლებიც მაჯლაჯუნასავით დაწოლიან საზოგადოებას და ყოველს ახალს აზრს ახშობენ. იგი მთლად ჩაძირულია თავის მეცნიერულ მუშაობაში, გარეშე ცხოვრებას იგი არ აქცევს ყურადღებას და მისი არ ესმის რა. მან არ იცის რაა კომპრომისი, სიფრთხილე. რაც სათქმელი აქვს, ამბობს პირდაპირ, დაუფიქრებლად და იმას კი არ აქცევს ყურადღებას, ეწყინება ეს ვინმე თუ არა. ამის გამო მას მოელის ცხოვრებაში მარცხი მარცხზე. გავლენიანი მეცნიერები, უკმაყოფილონი მის ახალგაზრდული პირდაპირობით, გზას უხშობენ მას და მოითხოვენ მისგან კომპრომისებს. შეურიგებლობის გამო მისი ნივთიერი ცხოვრება სულ უკან უკან მიდის და ბოლოს საქმე იქამდის მისწევს, რომ მოვალეები მას ბინასაც კი უწერენ. ოჯახურ ცხოვრებაშიც დიდი მარცხი მოელის მას. ცოლად ჰყავს ახალგაზრდა, მკვირცხლ გონებრივი ავლა დიდებით აღჭურვილი, მაგრამ კარგი გულით და სიყვარულის წყურვილით დაჯილდოებული ქალი. ახალგაზრდა ცოლი მისით ცოცხლობს, მისით ამაყობს, თავს ევლება მას, მაგრამ მეცნიერი ამას ვერც კი ამჩნევს და, თუმცა თავისებურად უყვარს ცოლი, მაგრამ მისთვის ერთს თავისუფალ წამს ვერ პოულობს. ამიტომ სიყვარულს მოწყურებული ქალი კისერზე ეხვევა პირველსავე არამზადას, რომელმაც მას ტკბილი სიტყვა გაუგო და მოეფერა. მეგობრობაშიც მარცხი მოელის ახალგაზრდა მეცნიერს. მისი მეგობარი—კანტენ იერვენი—არ გამოდგა ისე [illegible], როგორც თვით კარენო. იგიც ახალგაზრდა მეცნიერია. მაგრამ თავის მეცნიერულ ძიებას იგი უფროდებს გავლენიან პირების სურვილებს, თავის რწმენას იგი ისეთის პირდაპირობით და მოურიდებლობით არ ატარებს, როგორც კარენო. (ტრამპენის მიღებისათვის და სამეცნიერო ასპარეზის გახსნისათვის იგი სწერს იმას, რაც არა სწამს და მალავს იმას, რაც სწამს. კარენო არ ინდობს მეგობარს, სახლიდან აგდებს და თავის დაუძინებელ მტრად აქცევს მას. პიესის ბოლოს ასეთია: კარენოს გადამტერებული ჰყავს გავლენიანი მეცნიერები, რომლებიც მის თხზულების გამოქვეყნებას აბრკოლებენ, მეგობრები მის მტრებად გადიქცნენ, ცოლი ქვემძრომ ჟურნალისტს მისდევს, საცხოვრებელი სახსარი ამდენათ გამოელია, რომ მის ბინის ასაწერად შემოდის სასამართლოს მოხელე. მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერი შეურიგებელია. მარტოდ მარტო დარჩენილი იგი ხელს წამოავლებს მხოლოდ თავის ხელთნაწერებს და თავის ლამპას და ამაყად ხვდება ბორკილების სახით კარზე მომდგარ უბედურებებს.

ასეთია პიესის შინაარსი. ამ შინაარსში ნაღვლიანია წმინდა ჰამსუნისებური შინაარსი. ეს რთული და ღრმა სულიერი განცდა, რომელსაც ჰამსუნი აქ [illegible] ხატავს ხოლმე სულ უმნიშვნელო, თითქმის შეუმჩნეველ წვრილმანით, ერთის სიტყვის, სიტყვის ნაგლეჯის, შეჩერებულის ან სახის მეტყველების საშუალებით. ძნელი და საპატიო ამოცანა ჰქონდათ ჰამსუნის მსახიობებს 23 და 25 აპრილს დადგმულ პიესაშიც. მაყურებლების წინაშე დგას ახალგაზრდა, რწმენით და გატაცებით სავსე მეცნიერი, მთლად მეცნიერებაში წასული და ნახევრად არა-ამქვეყნიური. ცხოვრების სხვადასხვა ტალღები აწყდება მას თავს, აქა-იქ იგი იძულებული ხდება თავიც დახაროს მათ ძლიერების წინაშე, მაგრამ მისი პიროვნების ეს მთავარი ალამი (ფონი) ბოლომდის ერთი რჩება. არტისტის თამაშში მაყურებელმა ერთ წამსაც თვალიდან არ უნდა გაუშვას ჰამსუნის გმირის ეს მთავარი თვისება. თუ არტისტმა ერთ რამეში მაინც უღალატა როლს, შთაბეჭდილება გაიფანტება და როლი გაფუჭდება. ბ. კაჩალოვმა ეს ამოცანა შეასრულა სავსებით მხატვრული სისრულით. ყოველს მის მოძრაობაში, ყოველს მის სიტყვაში კარენოს არსების უმთავრესი მხარე პირველ ადგილზე იყო; არც ძლიერს სიხარულს, არც ძლიერს მწუხარებას არ დაუჩრდილავს ეს მთავარი მხარე კარენოს ხასიათისა. კარენოს თავისებურად უყვარს ცოლი, მაგრამ აქ მაყურებელი გრძნობს, რომ სიყვარულისთვის მის ფსიქიკაში მხოლოდ ერთი პატარა კუნჭული აქვს დათმობილი, დანარჩენი კარები კი მეცნიერებისადმი სიყვარულს უჭირავს. მას თავისებურად განვითარებული აქვს მეგობრული გრძნობაც. მაგრამ როგორც კი თავის მეგობარს შეამჩნევს რაიმე მეცნიერულს კომპრომისს, იგი დაუნდობლად ხელს ჰკრავს მას. ნივთიერ კეთილდღეობაზედაც ფიქრობს კარენო, მაგრამ კაჩალოვის თამაშში გრძნობ, რომ ამაზე იგი ფიქრობს სხვათა შორის, გონების ერთი კუნჭულით. ჩვენ ვერც კი ვეხებით, რა ხერხით აღწევს კაჩალოვი როლის ასეთის სისრულით განსახიერებას, მაგრამ მაყურებელი სრულიად იგრძნობს, რომ მის წინაშე არის მსახიობი და არა თვით ახალგაზრდა მეცნიერი კარენო.

ქ-ნ გერმანოვა კაჩალოვის ღირსეული პარტნიორია. ამ მსახიობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მის თამაშში სრულიად ქრება რამპა, აღარ არსებობს სცენა და მაყურებელთა დარბაზი, მსახიობი სულ ახლოა მიდის მაყურებელთან, იგი აღარ არის მსახიობი, იგი გარდაქმნილია იმ პიროვნებით, რომელიც ავტორს ჰყავს დახატული, და ცხოვრობს მაყურებელთა წინაშე, მათ შორის. ელინა კარენოს ცოლი გონებრივ განვითარების მხრივ მარტივი პიროვნებაა, მაგრამ გრძნობა მისი, მისი ქალური განცდა ძლიერია. თუ კარენოს არსება მთლად შეპყრობილია მეცნიერულ ძიებით, მისი მეუღლე, პირიქით, შეპყრობილია ეგრეთ უბრალო, მაგრამ ძლიერ სიყვარულის წყურვილით. სიყვარულშია მისი სიცოცხლის საგანი. სამი წლის განმავლობაში ცხოვრობს იგი თავის ქმართან და სამი წლის განმავლობაში ცდილობს აიშენოს თავის სახლში სიყვარულის ბუდე. ამისთვის იგი მზად არის აიტანოს გასაჭირიც, უსახსრობაც, მზად არის სახლში ყველაფერი თითონვე აკეთოს. მაგრამ ამაოდ აკაკუნებს თავის ქმრის გულის კარებს. და როგორც თავდავიწყებითაც თავს ევლება იგი ქმარს, სანამ [illegible] მის მეტს ვერაფერს ხედავს, ისეთივე თავდავიწყებით შეუყვარდება მას პირველივე არამზადა, რომელიც მას ცხოვრების გზაზე შეხვდება და თავისთან სიტყვას ეტყვის, ისეთივე პირდაპირობით იბრუნებს ზურგს ქმრისაკენ. გერმანოვამ შეუდარებელ ხელოვნებით გამოხატა ახალგაზრდა ცოლის მარტივი სიყვარული ქმრისადმი პირველ ორ მოქმედებაში, მისი გატაცება [illegible] ჟურნალისტისა პირველ შეხვედრისათანავე [illegible] ზედმიწევნით იგრძნობა ელინა კარენოს სულიერი დრამა. ქ-ნ გერმანოვას რომ უყურებთ, ამ ქალის გულს ყოველი კუნჭული სრულებით გაშიშვლებულია თქვენთვის, თქვენ ხედავთ დასრულებულს ტიპს და ესთეტიურ სიტკბოებას განიცდით იმის გამო, რომ ასე ღრმად, გონებრივ ენერგიის ასეთი [illegible] მიაწვდით ამ ადამიანის არსებას. რით, რა ხერხით, რა საშუალებებით აღწევს ქ-ნი გერმანოვა ამისთანა ეფექტს, ამასაც ვერ ახსნით: შეუძლია ითქვას, რომ მსახიობი თავის ყოველი მოძრაობით, თავის ხმის ყოველი ბგერით, მთელი თავისი არსებით მართლაც ელინა კარენო იყო, ამიტომ არაფერში არ ღალატობდა თავის თავს, არც ერთს წვრილმანში.

ამ ორი მთავარი როლის ამსრულებელი იყვნენ 23—25 აპრილის წარმოდგენის ცენტრში. სხვებზე სიტყვის გაგრძელება საჭიროდ არ მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბ. მასსალიტინოვმა სწორედ ისეთი პიროვნება წარმოგვიდგინა, როგორიც ავტორს აქვს ჩაფიქრებული [illegible] როლში: გადაჭარბებულად და უხეშად წარმოსდგა ჩვენს თვალწინ უპრინციპო, გამქრალი არამზადა, რომელსაც კოხტა ტანისამოსში მდაბიო ინსტინქტების მეტი არაფერი აქვს გახვეული. ბ. ბერსენევმაც ჩინებულად გამოხატა ის სულიერი ქენჯნა, რასაც განიცდის ახალგაზრდა კაცი, რომელიც პირველად ღალატობს სინიდისს გარეშე პირობათა ძლიერების გამო.

ყოველ წარმოდგენაში შეიძლება ვიპოვოთ რამე ნაკლი. შეიძლება ამ წარმოდგენაშიც იყო ზოგიერთი წვრილმანი ნაკლი. მაგრამ ეს წვრილმანი სრულიად ჩაინთქა იმ მაღალ ესთეტიურ სიტკბოებაში, რომელიც განიცადა მაყურებელმა 23 -5 აპრილის წარმოდგენის დროს.

დ. ნ—ძე.

ული მაგალითები იხრდილება ჩემი ჯარის მძარცველობით, ამ მხრით მაინც ჩემი ჯარი უპირველესი გამოდგაო". ხოლო მიტროპოლიტი ბაჟენი, რომელიც მოხალისეთა „ოსვაგის" უმთავრესი აგიტატორი იყო, წითელი ჯარის შემოსვლის წინ ნოვოროსისკში მიტინგებზე ამბობდა: „დაიღუპა მოხალისეთა არმია, მაგრამ ამ დაღუპულ ლეშის სადღაგთან გლოვის ცრემლები არავის გადმოუგორდება. რას ეძებდნენ სარდლები? მხოლოდ გარყვნილებას, ქეიფს, რესტორნებთან თამაშს, სპეკულაციას და უსინდისო ძალადობას ანდომებდნენ დროს. იმის მაგივრად, რომ წითელი ჯარის უმთავრეს ხელმძღვანელს 3-5 შეურიგებელ მოძველთ ჩვენი დაპირისპირებოდნენ, ის რუსეთის სამრეკლოებში ინგლისელ და ფრანგების მიერ დაბარებული ფუნთის ფულს აგროვებდა ჯამაგირისთვის, გენერალი დრან გელი კი რუსეთის მონასტრებიდან გამოტაცებულ ძვირფას ხატებით ვაჭრობდა ქუჩებზე. სოლო დანარჩენი ხელმძღვანელები ტრამებში ნაძარცვს ინახავდნენ „შავ დღისთვის" გაქცევა რომ დაეგეჯირებინათ, ამას დაუწყობდა ყუთების დემოკრატიის გაწიკვლება, რადგან გარეკა, ჯალათობების სიკვდილი, რის პასუხად ყუთების ჯარმა მიატოვა ფრონტი და დაიწყება ბოლშევიკებს მისცა პირში.

ეს იყო უმთავრესი მიზეზი მოხალისეთა არმიის დამარცხებისა, როცა მას გლეხობა ყველგან გადაუდგა და მჭიდრო არმიის სახით ზურგის დარღვევა იწყო. მაგრამ ამ გარემოებას კიდევ უფრო ართულებდა ერთი გარემოება, რაც უნდა მივწეროთ ლენინის მთავრობის ფულადი ორგანიზატორულ ნიჭს.

დენიკინის ჯარში არ იყო ისეთი საპასუხისმგებლო ადგილები, არ იყო ისეთი ორგანიზაციები, სადაც კომუნისტებს აგენტები არ ყოფილიყვნენ, სადაც არ სწარმოებდა მუშაობა ზურგის დასარღვევად. როცა ყუბანი და ნოვოროსისკი აიღო წითელმა ჯარმა, გამოირკვა, რომ „ოსვაგში" მრავალი იყვნენ მოსკოვის მთავრობის აგიტატორები, რომელნიც ზურგს არღვევდნენ. ყველა ეს ადვილდებოდა იმ გარემოებით, რომ მოხალისეთა არმია შედგებოდა ძველი წოდებების ფუკუღალთა ადგილზე, მასთან მიყვებოდა ძველი მემამულენი, ფაბრიკანტები, ისპრავნიკები, ჟანდარმები და ყველა, ყველა რეჟიმისგან მიერ გარიყული ნაძირალები. ტყუილად კი არ ამბობენ კომუნისტები: „ჩვენი უმთავრესი აგიტატორი იყო ანტონ ივანესძე დენიკინიო". ამგვარათ მოხალისეთა არმია თვით აძლევდა თავისთავს დამარცხების შესაძლებლობას და ქმნიდა ამისთვის ხელსაყრელ პირობებს.

რამ დაამარცხა მოხალისენი.

გაზეთებში ხშირათ წაიკითხავთ ცნობებს, რომ ძლიერმა წითელმა ჯარმა დაამარცხა მოხალისეთა არმია, აიღო ეს და ეს ქალაქი და სხვა. წითელ ჯარზე ჩვენ ქვევით ვილაპარაკებთ, მხოლოდ აქ კი უნდა ვსთქვათ, რომ მოხალისეთა არმია და წითელი ჯარი ბრძოლის ბევრ ადგილას ერთმანეთს არ შეხვედრია. აი მაგალითად, ცარიცინის და ბატაისკის აღების შემდეგ ტყავისმაგ წითელი ჯარი მიდიოდა თავისუფლათ, მიუხედავათ იმისა, რომ მოხალისეთა არმია მტერს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა, ხოლო ეს მტერი იყო არა კომუნისტები, არამედ—აჯანყებული გლეხკაცობა, რომელიც ყოველმხრიდან ერტყმოდა მოხალისეთა ჯარებს და სულ ადგილით აშორებდა. ამ გზით მოხდა ეკატერინოდარის, არმავირის და თვით ნოვოროსისკის აღებაც. ეს უკანასკნელი (ნოვოროსისკი) წითელი ჯარის მოსვლამდე აიღო აჯანყებულ გლეხთა ორმა რაზმმა, რომელთაც მეტად კურიოზული სახელწოდება აქვთ. პირველად ქალაქში შევიდა, „Отрядъ тысяча чертей и одна ведьма", ხოლო მას შემდეგ „Отрядъ громъ и молній". ყველას ეგონა, რომ ეს იყო ნამდვილი ჯარი, მარა შემდეგ გამოირკვა, რომ წითელი ჯარი ჯერ კიდევ შორს იყო, ქალაქი მოხალისეებმა დატოვეს. მოხალისეთა სარდლობა გაზეთებში, ძარცვაში და სარდლობის ქეშპობაში, მტერი აწყობდა ორგანიზაციებს და ძლიერდებოდა. დენიკინის ჯარის არსებობის ძალა იგვივე მეტად სასაცილო და კურიოზულ ფაქტებით, ის ბევრ ადგილას იძულებული იყო სახვალ მოლაპარაკება დაეწყო რამდენიმე სოფლის გლეხებთან, რომელნიც ჩაიგდებდნენ ხელში რკინის გზის ლიანდაგის ერთ ნაწილს და მოძრაობას სწყვეტდნენ. ამგვარათ, მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ უმთავრესი მებრძოლი ძალა იყო აჯანყებული გლეხკაცობა, რომელიც მას ყოველი მხრიდან ერტყმოდა, ხოლო ეს ძალა უფრო ორგანიზაციებულით მიეწყო და სანამდე შეიქნა მას შემდეგ, რაც მოხალისეთა არმიამ სოჭი და ტუაფსე დაკარგა და ასე ზურგში ძლიერი მტერი გაუჩნდა. წითელი არმია თითქმის ამ ოპერაციებში ასრულებდა მეორე ხარისხოვან როლს თუ არ მივიღებთ მხედველობაში მისი წინსვლით გამოწვეულ შთაბეჭდილებას, რაც ძალას და ენერგიას მატებდა აჯანყებულთ, ხოლო მოხალისეთა არმიას კიდევ უფრო არწმუნებდა და აფრთხობდა.

ამხანაგი.

(შემდეგი იქნება)

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს)

26 აპრილი.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

(დასაწყისი არ არის, რადგან ხელს უშლიდა ცუდი ამინდი და სხვა რადიო სადგურები).

ტრანსპორტისათვის.

რუსეთის კომუნისტური პარტია თავის პასუხისმგებელ მუშათა მობილიზაციას ახდენს ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად. საჭიროა დაუყონებლივ ასეთი გაგზავნილ იქნან საბჭოთა წევრები ტრანსპორტის საქმეზე. საჭიროა მუშათა საქმისათვის ენერგიული და თავდადებული პირების გაგზავნა. ჩვენ უნდა ავკრიფოთ ჩვენი ძალ-ღონე და მაშინ გამარჯვება ტრანსპორტის ფრონტზე ისევე იქნება უზრუნველყოფილი, როგორც ეს უზრუნველყოფილია სამოქალაქო ბრძოლის ფრონტზე. მოსკოვის მუშათა და წითელ არმიელების დეპუტატთა საბჭომ დაადგინა დაუყონებლივ გაგზავნოს თავისი შემადგენლობის ოცი პროცენტი ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად.

პირველი მაისისათვის.

რიგიდან. 19 აპრილი. საფრანგეთის შრომის კონფედერაცია ფიქრობს პირველ მაისს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას, ფიქრობს მოიწვიოს დიდი მანიფესტაცია, მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღე და ნახშირის მადნეთა და რკინის გზის ნაციონალიზაცია.

თბილის ალ. რ. კომიტეტმა დაადგინა პირველ მაისს მოაწყოს მთელი წყება დიდი სამუშაოებისა, რომელსაც სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება. საფეხმავლოს ჩიუწყრიან საქალაქო მოედნებს, დარგავენ ბოსტნებს და ელექტრონის ძეგლის მაგიერ, რომელსაც მოხსნიან, ძეგლს დაუდგამენ მარქსს. გადაწყვეტილია აგრეთვე ქალაქის განწმენდა.

10 საათის სამუშაო დრო.

მელიანას სამუშაო ქარხნებში 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ შრომის ნაყოფიერებამ 120 პროცენტი აიწია.

თურქთა აჯანყება და ხაზინთა მთავრობა.

ლონდონ როსტოვი, 28 აპრ. ვლადიკავკაზში დახიზნულმა თურქმა ოფიცერობამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომლითაც იგი ხაზინთა მთავრობას მიესალმება.

ლიტვის პასუხი.

მოსკოვი. ლიტვის მთავრობამ საგარეო საქმეთა სახალ. კომისარ. ჩიჩერინს აცნობა იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა საზავო მოლაპარაკება მოსკოვში სწარმოებდეს. ლიტვის დელეგაცია მოსკოვში მოვა 3—4 მაისს.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

სომხეთის გარშემო.

პარიზში სან რემოში შესდგა უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელზედაც ითათბირობდნენ სომხეთის საზღვრებისა და სომხურ სახელმწიფოს შედგენის შესახებ. ამის გამო სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ნუბარ-ფაშამ ფართო განმარტება მისცა.

სმირნის საკითხი.

ვენიზელოსის დამხმარებით საბერძნეთს დამტკიცდა სმირნის სტატუტი.

ბათუმის საკითხი.

პარიზში დიდი უმაღლესი საბჭო თამაშობს ხელშეკრულების პირობების განხილვას განაგრძობდა. ისევე აღიძრა საკითხი ბათუმის შესახებ. ამის გამო მოისმინეს სამხედრო ექსპერტების აზრი, შემდეგ მოისმინეს იქნა დამატებითი ცნობები ადმირალ დე რობეკისა, რომელიც ადგილობრივ იმყოფება. ხელმეორეთ განიხილეს საკითხი სომხეთის საზღვრების შესახებ.

მოკავშირეთა შეთანხმება.

გაზ. „ტაიმს"-ს მიერ სან-რემოდან მიღებულ ცნობის თანახმად, შაბათს დილით შედგა ინგლისის დელეგაციის სხდომა, რომელზედაც მილერანსა და ლოიდ ჯორჯს 2 საათს უსაუბრიათ. ძირითად საკითხებში მოკავშირეები შეთანხმდნენ. ამ შეთანხმების პროექტს შაბათს წარუდგენენ უმაღლეს საბჭოს.

გერმანიის ხელშეკრულების გარშემო.

ლოიდ ჯორჯმა ამერიკის ჟურნალისტებს უთხრა: ყოველ შემთხვევაში ვერსალის ხელშეკრულება აღსრულებული უნდა იქნეს. ის კატეგორიულად უარყოფს მასზე მიწერილ წინადადებას ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ.

უმაღლესი საბჭო.

შაბათს დილით უმაღლესი საბჭო შეიკრიბა. დაესწრნენ: ნიტტი, მილერანი, ლოიდ ჯორჯი, ლორდ კერზონი, მილერანი, ბერთელო, მატსუი, ჯონსონი, რომში მყოფი შეერთებულ შტატების ელჩი, რომელმაც მთავრობისაგან ბრძანება მიიღო დაესწროს სხდომას როგორც მეთვალყურე. განაგრძეს ოსმალეთის ტერიტორიალურ ხელშეკრულების პირობების შესახებ თათბირი, შემდეგ განიხილეს საკითხი პალესტინის მანდატის შესახებ. აგრეთვე ამ მხარეში ებრაელთათვის ეროვნული თავშესაფარის მოწყობის და რელიგიური საზოგადოებათა საკითხები.

სურსათის საკითხი.

ნეიტრალური ქვეყნებისა და მოკავშირეთა წარმომადგენლები იხილავენ ცენტრალურ ევროპისათვის სურსათის მოწოდების საკითხს. ინგლისის მთავრობამ ამ საქმეში ინიციატივა მიიღო თავის თავზე, მხედველობაში აქვს დახმარება ფინლის დაარსება პოლონეთის, ავსტრიისა და სხვა სახელმწიფოთათვის.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

საერთაშორისო ეკონომიური ორგანიზაცია.

ინგლისის მთავრობა მიიღო ეკონომიური დამბლის თავიდან ასაცილებლად, ლიგა მოითხოვს საერთაშორისო ეკონომიურ ორგანიზაციის დაარსებას, მოკავშირე, ნეიტრალურ სახელმწიფოთა და მტერთა ქვეყნების წარმომადგენელთაგან, რომელსაც დაევალება საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციის ცხოვრებისაკენ დაბრუნება და რომელიც წინადადებას შეიტანს ამ ქვეყნების დამხმარეობათა თავიდან ასაცილებლად.

მოლაპარაკება ინგლისსა და ბოლშევიკებს შორის.

თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე ჩერჩილმა განაცხადა: ინგლისის სამხედრო მისია რჩება ყირიმში, რათა დაეხმაროს გენ. ვრანგელის მეთაურობით მყოფ ანტიბოლშევიკურ ჯარს, რომელსაც ეშინია, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ბოლშევიკებს შორის ხდება საზავო მოლაპარაკება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სიცოცხლე რუს ჯარისკაცებისა, მათი ოჯახებისა და ყირიმში მყოფ ლტოლვილებისა. იმავე დროს მთავრობა გააკეთებს ყოველივეს, რაც მას შეუძლია მისის დამხმარებით, რათა ხელი შეუშალოს ბოლშევიკების ყირიმის ხელში ჩაგდებასა და მცხოვრებლებზე ძალადობის მოხდენას.

ᲑᲐᲥᲝ

გეჯინსკიმ წინადადება მისცა სოციალისტებს დაიკავონ ახალ კაბინეტში 3 ადგილი, გარდა შინაგან, სამხედრო და საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელებისა. სოციალისტურ ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პორტფელების განაწილებაზე უფრო დიდი მნიშვნელობა მომავალ მთავრობის სამოქმედო პროგრამას აქვს; ამიტომ იგი წინადადებას იძლევა ჯერ შეუდგნენ პროგრამის გამომუშავებას.

— პირველ მაისის დღესასწაულის მოსაწყობად აზერბეიჯანის მომხმარებელ საზოგადოების „კოოპერაციის" გამგეობამ გადასდო 25.000 მან.

— ირკვევა, რომ მუსავატისტები არ თანაუგრძნობენ წინადადებას, რომლითაც გეჯინსკის თავისუფალ მოქმედების უფლება ენიჭებოდა კაბინეტის შედგენის საქმეში. ამით აიხსნება ის პასიური წინააღმდეგობა, რითაც მუსავატისტები კაბინეტის შედგენის საქმეს აპიანურებენ.

— ნუხის, არეშის და გეოკჩაის მაზრებში გაიგზავნება 3 საგანგებო კომისიები ამ მაზრებში მომხდარი ამბების გამოსარკვევად. კომისიებში სომხები დეპუტატები არ შედიან.

გენ.-გუბერნატორი 27 აპრილისათვის ახდენს რეგისტრაციას აზერბეიჯანში შემოხიზნულ ყველა „მოხალისეებისა". ვინც განკარგულებას არ დაემორჩილება, ისინი გაძევებულნი იქნებიან რესპუბლიკის საზღვრებიდან.

ᲙᲘᲜᲢᲠᲘᲨᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

— 24 აპრილის ორშაბათ ბათომიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „კინტრიშის ხიდი ქობულეთთან ჩაქცეულია 10 საჟენის სიგრძეზე. ეტყობა, აფეთქება მოწყობილია მცოდნე პირებისაგან. ჩვენ, რკინის გზის მოსამსახურეები მზად ვართ მუშაობის მოძრაობის სასწრაფოთ აღსადგენათ, მაგრამ შეუძლებელია წესიერი მიმოსვლა თუ გზის დასაცველად არ იქნა დაყენებული დაუყონებლივ ჩვენი ჯარი. დაშავებულნი კრებას წევრნი ხაფუარიძე, ფერაცხალაძე."

ხიდის აფეთქების გამო ბრიტანეთის სარდალ კინგში ბიჭობის გამგეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა საქართველოს რკინის გზების დეპარტამენტის დირექტორმა ინჟინერმა ჰენიძემ:

„მიიღეთ განკარგულება, რომ დაუყონებლივ შეუდგნენ აფეთქებულ ხიდის შეკეთებას. მუშაობა განუწყვეტლივ სწარმოებდეს დღისით და ღამით. ხარჯების გასტუმრება უნდა დაეკისროს ბათომის ოლქში მყოფ ბრიტანეთის მთავრობას, რომელიც ზომებს არ იღებს ხიდისა და გზის დასაცველად ბათომის ოლქში და არც საქართველოს რკინის გზის მართველობას აძლევს ამის საშუალებას. მთელი ხარჯების ანგარიშები თქვენ წარმოადგინებთ განსაკუთრებულად. გთხოვთ დაინიშნოს თქვენი წარმომადგენელი, რომელიც მუშაობის თვალყურს ადევნებს იმ აზრით, რომ შემდეგში, ანგარიშების გასწორების დროს, თავიდან აცილებული იქნეს გაუგებრობანი."

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

17 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოხსენება აბრეშუმისა და მეტყის მწარმოებლებისათვის სესხის სახით დახმარების აღმოსაჩენათ წარმოება-ვაჭრობის საქმეში 75 000 000 მანეთის გაღების შესახებ მიღებულ იქნას და დაევალოს უწყებას შესაფერი დეკრეტი წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

— ახალქალაქის სარწყავი არხების გადადებულ იქნას დროებით ტექნიკური დაბრკოლებათა გამო.

— მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება საიჯარო გადასახადების საერთო შემოსავლიდან 20 პროცენტის ერთბაშათ სახაზინოთ გადების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას მოხსენებასთან დართული დეკრეტის სახით.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

კომუნისტ ტერორისტების ორგანიზაციის შეპყრობა. 25-26 აპრილის ღამის 1 საათზე ვაზნისხევსკის ქუჩაზე აღმოჩენილ იქნა კომუნისტ ტერორისტების ორგანიზაცია პანტელეიმონ კვინტრაძის მეთაურობით. ნახულ იქნა პარიკები, ყუმბარები, მაუზერები და 46 ათასი მანეთი, სამუდამო გამოქვეყნდება (ს. დ. ს.)

◆ **პირველი მაისისათვის.** ცენტრალური სამაისო კომისია აცნობებს ყველა ორგანიზაციებს და კავშირებს, რომ მან პირველი მაისისათვის შეიმუშავა შემდეგი ლოზუნგები. 1) გაუმარჯოს პირველ მაისს!.. 2) გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს!.. 3) გაუმარჯოს წვრილ ერის თავისუფლებას!.. 4) ძირს კაპიტალიზმი!.. 5) ძირს იმპერიალიზმი!.. 6) გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!.. 7) გაუმარჯოს ინტერნაციონალს! 8) გაუმარჯოს სოციალიზმს!.. მატარებლებზე ამ ლოზუნგებს გარდა იქნება შემდეგი წარწერა: სალამი თფილისის პროლეტარიატისაგან.

ყველა მატარებლების ორთქლმავლები პირველ მაისს უნდა იქმნას მორთული დროშებით და პლაკატებით. **კომისია.**

◆ **ერობათა კავშირის** კომიტეტს ქონდა მსჯელობა შესახებ საერობო სახლის შეძენისა. ერობათა წარმომადგენლების თათბირზე აღიარებულია ამ მიზნისათვის გამოსადეგათ არაფელოვის სახლი, რომელშიც დღეს მოთავსებულია ერობათა კავშირის კომიტეტი, რუსთაველის პრ. № 24. დაევალა კომიტეტს წევრს მიხ. დ. ცაგარეშვილს წარმოადგინოს შესატყვისი მოხსენება აღნიშნული შენობის იჯარების, ნასყიდობის შესახებ.

◆ **პურის ფქვილის ფასის დაცემა.** ამ ბოლო ხანებში პურის ფქვილის ფასი თან და თან ეცემა. ფასების საგრძნობლად დაწევას ხელი შეუწყო მომარაგების სამინისტროს მიერ დიდ ძალი პურის ფქვილის შეძენამ. გადიდებულმა რაციონმა ნახევარ გირვანქიდან 1 გირვანქამდე თავისუფალ ბაზარს მისწყვიტა საგრძნობი რიცხვი მოხმარებელთა. ამის გამო პურის ფქვილის მოთხოვნილება შემცირდა ბაზარზე. პურის ფქვილის და მორიელების მეპატრონეებს ფასების ზრდის მოლოდინი გამოცრუებული ლოდინით გაუქრათ, რასაც ხელს უწყობს ახალი მოსავლის მალე მოლოდინი, ერთის მხრით და მეორეს მხრით იმედები საზღვარ-გარეთიდან პურის მიღებისა.

სახალხო უნივერსიტეტში დღეს, 27 აპრილს წაიკითხავენ ლექციებს.

პირველ განყოფილებაში (ნაძალადევში) 1) ალ. წერეთელი—ისტორია, 2) ილ. ნაკაშიძე—საზ. მეცნ. საქართველოს. მეორეს განყოფილებაში, (ერობის უბანი) 1) აბრამიშვილი—ბელგიის ისტორია, 2) გორგაძე—საქართველოს გეოგრაფია.

ცენტრში 1) შ. ტურიაშვილი—ჰიგიენა, 2) გ. ზარნაძე—ქართული მწერლობა.

ჩუღურეთში ლექციები დაიწყება 7 7 საათზე, დანარჩენ განყოფილებებში 6 საათზე.

◆ **ფინანსთა სამინისტროს** საკრედიტო ნაწილი აცხადებს, რომ 1920 წ. 24 აპრილიდან გამოცემულია საქართველოს რესპუბლიკის ფულის ნიშნები ათასი მანეთის ღირებულებისა,

◆ **სამეურნეო იარაღების** შეძენათ მიწათ მოქმედების სამინისტროს რწმუნებული ევროპაში სვიმონ ხუნდაძე ევროპაში გაუგზავნია სხვადასხვა სამეურნეო იარაღები და მანქანების ნუსხებით.

◆ **სახელმწიფო მოსამსახურეთა ყრილობა.** 25 აპრილს დაესრულდა სახელმწიფო მოსამსახურეთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო 51 დელეგატი სხვადასხვა დაწესებულებიდან. ყრილობას თავმჯდომარეობდა ბ. ქადეიშვილი, მის ამხანაგათ არჩეულ იქნა ი. ღუღუნიანი, მდივნად ან. სვანიძე. ყრილობამ განიხილა მრავალი საპროფესიო საკითხი, რომლის ცხოვრებაში გატარება მიანდო გამგეობას, რომელშიც არჩეულ იქნა 11 წევრი.

◆ **ახალი კანონმდებლობა მუშათათვის.** შრომის კომისიამ შეიმუშავა და მოხსენება აქვს დამფუძნებელ კრების წინაშე, რომ ევროპიდან გამოწერილ იქნას იქ მუშათათვის შემუშავებული ახალი კანონმდებლობა.

◆ **სახელმწიფო თეატრში** დღეს, ზ. პ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი" მონაწილეობას მიიღებენ მაჩაბელი, სარაჯიშვილი, ინაშვილი და სხვები.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს 27 აპრილს, ს ხთ. არსებ. ქართ. წარმოდ. ხმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ნიღაბ-ქვეშ", დრ. 3 მოქ. გერბენისა. მონაწილეობს ფასი სახალხოა. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, 27 აპრილს, საღ. 4 ს. ამიერკავკასიის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება, მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ნ. რამიშვილი, განიხილება პარტიული ყრილობის დღიური წესრიგი და აირჩევა ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა მოვიდნენ კრებაზე და თან იქონიონ პარტიული წიგნაკები.

— დღეს, კოლექტივის ბინაზე, საღამოს 6 ს დანიშნულია მე 6 რაიონის კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, მუშათა სასახლეში დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს. რუსთაველის ქ. № 11 დანიშნულია ქ. თფილისის მ სწავლებელთა ქართული სექციის კრება. განიხილება მეტად სერიოზული საკითხები. დასწრება წევრთათვის სავალდებულოა.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ოზურგეთიდან. კვირას, 2 მაისს, ქალაქის [illegible] დანიშნულია ოზურგეთის მაზრის ს. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა საერთო ყრილობა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

რ უ ს ე თ ი.

ეკონომიურ მდგომარეობისათვის ჰელსინგფორსის გაზეთი „ხტ. ტიდნინგენ" იტყობინება, რომ რუსეთის მრეწველობა სავსებით დაშლილია; შრომის მილიტარიზაცია საქმეს ვერ გამოასწორებს. ფულის კურსი საშინლათ ეცემა. 1000 მან. ღირს ორი მანეთი ოქროთი. ამ გარემოებამ აიძულა საბჭოთა რუსეთი გამოუშვას 5, 10 და 15 ათასიანი საკრედიტო ბილეთები. პროფესიონალურ კავშირთა და საბჭოთა მთავრობას შორის ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ა მ ე რ ი კ ა.

ვილსონის აზრი. პრეზიდენტმა ვ. ვილსონმა გაზ. „ფილადელფია ლეჯერის" გამომცემით ოსმალეთის საკითხის შესახებ შემდეგი განაცხადა: ვილსონი მოითხოვს, რათა ოსმალები განდევნილ იქნენ სტამბოლიდან და რუსეთს მიეცეს საშუალება თავისუფლათ გავიდეს ხმელთა შუა ზღვაში, ვილსონი მოითხოვს აგრეთვე რათა მოკავშირეებმა შეასრულონ თავიანთ თავზე მიღებული ვალდებულებები რუსეთის მიმართ. ვილსონს სწამს, რომ ბოლშევიზმი მალე მოისპობა; მისი აზრით ზომიერისათვის უნდა დემოკრატიული რუსეთი იქნება აღდგენილი. ასევე აზიანებს ვილსონის შეხედულებას გაზ. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი: თურქეთის კონსტანტინოპოლში დატოვება აუცილებელი იქნებოდა, ვილსონის აზრით ევროპის არ უნდა შეუშინდეს მუსულმანურ ქვეყნის დაშლას; იგი მოითხოვს, რათა შექმნილ იქნეს საერთაშორისო კომისია რომელიც კონტროლს გაუწევს დარდანელის სრუტეს. კომისიაში მოწვეული უნდა იქნეს რუსეთის წარმომადგენელიც. გარდა ამისა ვილსონი მოითხოვს რათა სომხეთს მიეცეს იმდენი ტერიტორია, რამდენსაც იგი მოითხოვს, და გასავალი შავ ზღვაზე.

ი ნ დ ო ე თ ი.

მუშათა მოძრაობა უკანასკნელ ხანებში ინდოეთის მუშათა მოძრაობა თანდათან მეტ ყურადღებას იქცევს. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში დაამტკიცეს, რომ პოლიტიკური სასწორი მარცხნივ—მუშათა მხარეს იხრება. ზომიერი ნაციონალისტები უკმაყოფილონი არიან მთავრობის პოლიტიკით და აღნიშნულ პარტიისაკენ იხრებიან. უკიდურეს მემარცხენეებმაც შეიგნეს ასეთი მდგომარეობა და მათი ლიდერი ჰენდერსონიც ცდილობს თავის პარტიაში მეტ ზომიერ მუშებს მოუყაროს თავი. მან განაცხადა: „შრომის მუშათა მოძრაობამ ამ ქვეყნის უფრო სთქვა აქტიურ მოქმედებებზე და კანონიერ ფორმებში მუშაობას ამჯობინებს". ჰენდერსონი ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ წინადადებას აძლევს მუშებს შეკრიბონ ორი მილიონიანი ფონდი კოალიციურ კაბინეტის წინააღმდეგ აგიტაციის საწარმოებლად. ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ „ტაიმსის" ფურცლებიდან ენერგიულ კომპანიას აწარმოებს მაკკენტიც; იგი წინააღმდეგია კოალიციური მთავრობისა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ცენტრალურმა სამაისო კომისიამ შეიმუშავა შემდეგი პროგრამა დღესასწაულისა:

1) დილით ადრე 6—7 საათზე მუშათა უბნებში მორთული ავტომობილით, ან ქვეითად ქუჩებში ჩამოვლა მუსიკით და პლაკატებით და მოქალაქეთათვის აუწყება, რომ დღეს მუშათა დიდი დღესასწაულია. ასეთ გამოსვლას რაიონები თვით აწყობენ.

2) დილის 8 საათიდან ამხანაგები იკრიბებიან თავიანთ რაიონებში, კავშირებში, ან სადაც ამას საჭიროდ დაინახავენ, აქ იმართება დილის დღესასწაული, სიმღერა, მუსიკა და მოკლე სიტყვები. ყველა რაიონი, კავშირი თვით უნდა ეცადოს მისცეს დღესასწაულს თავის რაიონში შესაფერი ელფერი.

3) 10 საათზე რაიონები და კავშირები დროშებით, პლაკატებით, სიმღერებით და მუსიკით გამოემგზავრებიან მუშათა სასახლისაკენ. აქ დემონსტრანტები ადგილს დაიჭერენ კომისიის ჩვენებით.

4) მუშათა სასახლესთან და დამფუძნებელ კრებასთან თითო მოკლე სიტყვა, მაგრამ ისე, რომ დემონსტრაცია არ დაიშალოს, არ შეჩერდეს.

5) სულ ყველა ორგანიზაციების გამოცხადების შემდეგ და არა უგვიანეს 12 საათისა დემონსტრაცია მწყობრიათ გაემართება ძმათა სასაფლაოსაკენ... თავისუფლების მოედნით, პუშკინის ქუჩით, პლეხანოვის პროსპექტით, კიროჩნის და ჩერქეზოვის ქუჩებით. გზაში მწყობრი, ხუთ-ხუთი კაცი რიგში და წესრიგზე სიარული ყველამ უნდა დაიცვას.

6) დემონსტრაცია აქ ძმათა სასაფლაოზე (აბანოზე) და შემოკრბება აქ ჩვენთვის წმინდა ადგილს ვარდ-ყვავილებით. ყვავილების შეძენა და იაფად გაყიდვა უნდა ითავონ თვით რაიონებმა ადგილობრივ, რომ თითო ყვავილი ყველამ მოიტანოს სასაფლაოზე.

7) შრომის ნადგილოვით ცენტრალური კომისია ყიდულობს სამაისო გულზე სატარებელ ნიშნებს, შემდეგი წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს." წარწერა იქნება ქართულად, რუსულად, ინგლისურად, სომხურად და თათრულად. ეს ნიშნები გაიყიდება თითო 3 მანეთად სამაისო ხარჯის დასაფარავად.

8) რაიონებმა, კავშირებმა ეს ნიშნები უნდა ადრე დაიკვეთონ და დაურიგონ ამხანაგებს, რათა დემონსტრაციის დროს არ დაირღვეს საერთო წესრიგი ლენტების ყიდვით.

ეს ლენტები როგორც დემონსტრაციაში, ისე მიტინგზე მონაწილეთათვისაც სავალდებულოა გულზე ჰქონდეს მიბნეული.

9) ძმათა სასაფლაოს ეზოვრივით მინდორში გაიმართება უმთავრესი მიტინგი, სადაც ილაპარაკებენ ამისათვის დანიშნული ამხანაგები. სიტყვის წარმოთქმის მსურველები უნდა ჩაეწერონ ან განუცხადონ კომისიის პრეზიდიუმს. მიტინგის დღე საერთო დღესასწაულია ყველა მშრომელთათვის, რამე პოლიტიკური გამოსვლა სასურველი არაა.

10) ყველამ დაიცვას წესრიგი სასაფლაოზე. არ შეხდეს წმინდათა-წმინდა სასაფლაოზე. არ გაფუჭდეს სასაფლაოს მორთულობა, ყვავილ ბაღნარები. სცეს პატივი წამებულ ამხანაგების ხსოვნას მოტანილ ვარდ-ყვავილების საფლავზე დატოვებით და გადიდეს იქვე გაშლილ მინდორში, სადაც იქნება წარმოთქმული სიტყვები.

საფლავებთან შეკრება დაუშვებელია.

11) პირველ მაისს უნდა შეჩერდეს ყოველივე მუშაობა, ვაჭრობა, მრეწველობა, როგორც აღდგომას.

გამონაკლისს შეადგენენ: მოძრაობა რკინის გზაზე, ტრამვაი იმუშავებს ნაწილობრივ (გამოცხადებულის გაზეთებში), წყალ სადენი, ელექტრონი. საავადმყო-

ფა და აფთიაქები. აგრეთვე ვერის გასაყიდი ადგილები იქნება დია.

12) მუშათა სასახლიდან დემონსტრაციაში ადგას დაიჭერენ შემდეგ წესრიგზე: პირველად მუშათა წრეები სხვა და სხვა სასწავლებლების მოსწავლენი მასწავლებლებითურთ, მუსიკით და მომღერალთა გუნდებით. პოლიტიკური ორგანიზაციები. ახალგაზრდა მარქსისტები, ქალთა ორგანიზაციები და კავშირები. არც ერთ ორგანიზაციას კავშირს არ აქვს უფლება გზაში დემონსტრაციას გამოეყოს, ან სხვა ქუჩით, გარდა მარშრუტში ნაჩვენებისა, იაროს.

13) სადამოს შვიდი საათიდან იწყება თვით რაიონებში დღესასწაული იმ პროგრამით, რასაც თვითოეული რაიონი შეიმუშავებს. პირველ რაიონში მოხდება პლეხანოვის სახელობაზე ახალი მუშათა კლუბის გახსნა. ზოგი გარეთ ეზოში მეტინგი, სიმღერა, კონცერტი.

14) პირველ მაისს დარიგდება ბაღებში ფურცლები ამ დღის მნიშვნელობა სიდიადის შესახებ შინაარსით.

15) პირველ მაისს მაღაზიებში სასმელების ხმარება დასაშვები არაა.

16) სამარის პლაკატები და წარწერანი შეიძლება გამოფინოთ შ. რ. შანდრელი და თუ საჭიროა დარჩა ახლებიც დაიბეჭდოთ.

17) მოითხოვთ საბაჭოთ მაღაზიებს ბაზარში ერთიანი ფერის წარწერით „გაუმარჯოს პირველ მაისს. სალამი თბილისის პროლეტარიატისაგან“.

18) ქმათა სასახლიდან მოედნის მოწყობა და ტრიბუნების გამართვა დაევალოს პირველი რაიონის გვარდიელთა შტაბს.

19) რედაქციებისა, მუშათა სასახლის და სხვა საზოგადო დაწესებულებათა მორთვა მოწყობა ევალება ადგილობრივ ამხანაგებს.

20) ყველა დაწესებულებს ევალება ხელი შეუწყონ პირველი მაისის დღესასწაულის საზეიმოდ ჩატარებას.

21) დღე ქალაქის ქუჩები და სახლები უნდა მოირთოს დროშებით, ხოლო სადამოს, სადაც შესაძლებელია, გაჩირაღდნდეს.

22) ლენტების და ყვავილების გამყიდველებს ექნებათ დალუქული ყუთები და მოწმობები ორგანიზაციიდან. ქუჩაში გაყიდვა ლენტების, ან ყვავილების დასაშვები არაა.

სასურველია ამხანაგებმა იქონიონ თან თითო ქინძისთავი ნიშნის მისამაგრებლად.

23) სასურველია დემონსტრაციაში მიიღონ მონაწილეობა სასწავლებლებმა სიმღერით და მუსიკით, ვისაც მუსიკა აქვს რკინის გზის ყველა სასწავლებლებმა უკვე განაცხადეს სურვილი დღესასწაულში ორგანიზაციულად გამოსვლისა.

24) ცვლილება ან შეცვლა ამ პროგრამისა, თუ ეს მოხდა, გამოცხადდება გაზეთებში.

25) რედაქციები, რომელნიც თანაუგრძნობენ მუშათა დღესასწაულს, იმედია ამ პროგრამას გადაბეჭდავენ.

ამხანაგებო მუშებო! ყველა დარგისა და წარმოებისა. პირველი მაისი არის ჩვენი ერთობის, ჩვენი სოლიდარობის, ჩვენი ძალის, ჩვენი დისციპლინის, ჩვენი ორგანიზაციის მაჩვენებელი დღე. პირველი მაისი არის დღესასწაულთა დღესასწაული. ამიტომ რიცხვ მრავლად ერთსულოვნად, გამოუკლებლივ მიიღეთ დღესასწაულში მონაწილეობა.

არავინ დარჩეთ სახლში.

წითელი ლენტით გულზე... წითელი ყვავილით ხელში გავწიოთ ძმათა სასეირნოდ.

გაუმარჯოს პირველ მაისს!
გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!
გაუმარჯოს სოციალიზმს.

ცენტრალური საზეიმო კომისია.

ქართველ მწერლებს

თანახმად მწერალთა მეორე კონფერენციის დადგენილებისა მწერალთა საბჭო 7 მაისს მართავს პირველ ტრადიციულ „პოეზიის დღეს“. რომელშიაც დაიბეჭდება ლექსები, მოთხრობები, ნოველები, ესკიზები, მინიატიურები და სამხატვრო წერილები. მწერალთა საბჭო მიმართავს ყველა ქართველ ამ დღეს გამოიცემა სპეციალური გაზეთი დიდი ფორმატისა,—„პოეზიის დღე“, მწერლებს გამოუგზავნონ მას მასალები გაზეთში დასაბეჭდად. გაზეთში დაიბეჭდება მხოლოდ 3-ტარა ზომის ნაწარმოებნი, რაიც მხედველობაში უნდა მიიღონ ავტორებმა. მასალები მიიღება მხოლოდ პირველ მაისამდე. მისამართი: თბილისი „ქიმერიონი“ მწერალთა საბჭოს.

მწერალთა კავშირის საბჭო და სარედაქციო კოლეგია.

„პოეზიის დღე“

მწერალთა კავშირის საბჭოს კრებაზე არჩეული იქნა პოეზიის დღის მომწყობი ორი კომისია—სარედაქციო და საორგანიზაციო. სარედაქციო კომისიაში არჩეულ იქნენ: აბაშელი, ტაბიძე, ჯაფარიძე, ალაძე, კოტეტიშვილი. საორგანიზაციოში—გრიშაშვილი, თავზიშვილი, ელიავა, რუხაძე.

— 7 მაისს გამოიცემა გაზეთი „პოეზიის დღე“ რომელიც გავრცელდება მთელს საქართველოში და რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო სამხატვრო სალიტერატურო ძალები.

— „პოეზიის დღე“ მოეწყობა ყველა დიდ ქალაქებში. ადგილობრივ საქმის ორგანიზაციისათვის მიდიან—ქუთაისში ნიკო ლორთქიფანიძე, ხონში—ვ. მელაქიშვილი, ფოთში—ი. ამძინს, ჩოხატაურში—ი. ნაძე, სიღნაღში შ. ახალაძე, ზუგდიდში—ლეო ქიაჩელი, დანარჩენ დიდ ქალაქებშიც დაგზავნილ იქნებიან საბჭოს რწმუნებულნი, რომელნიც ადგილობრივ ძალებთან ერთად მოაწყობენ „პოეზიის დღის“ საღამოებს.

— თბილისში 7 მაისს გაიმართება საღამოები ოთხ ადგილას: სახელმწიფო თეატრში, სახალხო სახლში, მუშათა ცენტრალურ კლუბში და ქართულ კლუბში.

— თანახმად, სადამოს 8 საათზე შემდეგ 7 მაისის კომისიათა სხდომა ამ დღის ზოგიერთ დეტალების განხილვისათვის.

ს.-დ. პარტიაში

თბილისი. მაზმარადის კომიტეტის ნაწილი საწყობის მუშებს დღიდან არალეგალური ორგანიზაცია არ ჰქონიათ. ამას წინათ მოეწყო ამხანაგ მოშვერის მეთაურობით მაზრის საწყობის მუშების კრება, რომელსაც დასწრო მუშა. კრებაზე მოისურვეს ს.-დემოკრატიის პარტიაში ჩაწერა, აირჩიეს ძველი პარტიის წევრები სარეკომენდაციო კომისიაში. არჩეულ იქნენ: ვლ. ამილახვარიშვილი, ივანე ცქიტიშვილი და ხარ. დარჩია. სულ ჩაეწერა 60 მდე. დაარსდა „ისკრის“ და აირჩიეს პროპაგანდისტი და ერთი დელეგატი მეორე სარაიონო კომიტეტში.

— —

ყულა შუნუთა. 20 აპრილს შესდგა ს. ს.-დ. მ. პარტიის ჩვეულებრივი კრება. კრებაზე სხვა პარტიულ კითხვებთან ერთად დაისვა საკითხი ამხანაგების მიერ გაზეთ „ერთობის“ გავრცელება-დახმარება. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „სასურველია და ძლიერ საჭიროა გავრცელდეს ჩვენი პარტიული ორგანო როგორც ამხანაგებში, ისე მასსაშიც. კრების შემდეგ დანიშნულ იქნა ყველა ის ამხ. რომლებიც იწერდნენ და განაგრძობენ ორგანოს გამოწერას, და შემდეგ რამოდენიმე ამხანაგებმა თავიანთ გამოწერის შეუძლებლობის გამო გადიდეს თავისი ერთიერთ დახმარება. ფულს და სიას ვაგზავნი რედაქციაში, *) მუშამოვე გამომწერნი: ლევან და მიშა იმნაიშვილები, სანდრო გოგიძე, ილიკო ფირფიშვილი, კვირიკე ჩხაიძე და თედორე აბულაძე.

ერთდროული დახმარება: 30 მან. გიორგი გოგიძე; 20 მან. იაგორ ვერულიძე, ქ ენი ჩხაიძე; 17 მან. ილიკო დებლაიძე; 10 მან. მარიამ და ეფემია იმნაიშვილები, მარიამ ჩხაიძე, მელანია ქ ძ ვა, ნინო გოგიძე, კოსტანტინე იმნაიშვილი, ლადო მეცხვარიშვილი, მერი ნიკოლაიშვილი, მიხაკო ჩხაიძე, ნიკო ჩხაიძე, სოლომონ ჩხაიძე, მელია, მარკოზ და მეტია ჩხაიძენი, ეფემია ნიკოლაიშვილი და ეფემია ლომიძე.

კრ. თავმ. დაგ. იმნაიშვილი.

მუშათა შორის

პროფესიონალურ კავშირებში.

კავშირთა საბჭოში. 23 აპრილს ამხ. ხელაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა.

ამხ. ჩხენკელი აცნობს სხდომას მუშათა კლუბის რეორგანიზაციის საკითხს და სეკრეტარიატის აზრს მუშათა კლუბის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დაქვემდებარების აუცილებლობაზე. მუშათა კლუბის გამგეობის წარმომადგენელი ამხ. სამხარაძე ემხრობა სეკრეტარიატის აზრს მინაწევრებით მისი ნაწილის, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წარმომადგენელნი ამხ. გოგოსელიძე ურთიერთობას რა სხდომას, რომ მუშათა კლუბი დაარსებული იყო სახალხო უნივერსიტეტთან და რომ მისი დაარსება მოხდა სახალხო უნივერსიტეტის ინიციატივით, ხსენობა, თუმცა სახალხო უნივერსიტეტს არ შეუძლია მუშათა კლუბის მოწყობას გაუწიოს ხელმძღვანელობა, მაგრამ საქმისთვის უკეთესი იქნება თუ ის ადმინისტრატიულად უნივერსიტეტს დაექვემდებარება. ამიტომ ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია შემდეგ საბჭოში დებატებს სეკრეტარიატის დაგეგმილების. კლუბისა და სახალხო უნივერსიტეტის და

---

*) ფული მივიღეთ. რედ.

მოკიდებულების საკითხი გადაეცა გადამრჩეველ კომისიას, რომელშიაც შევიდნენ დაინტერესებულ მხარეთა და სეკრეტარიატის წარმომადგენელნი.

მუშათა კლუბის კომისიას წევრი ამხ. რამიშვილი აცნობებს მუშათა კლუბის მომავალ არსებობისათვის საშუალების გამონახვის აუცილებლობაზე. საბჭომ დაავალა ეს საკითხი გადაეცეს განხილვისათვის და მოხსენების წარმოსადგენად კლუბის ახალ გამგეობას.

დასასრულ საბჭო ამტკიცებს მუშათა კლუბის შემდეგ შემადგენლობას: შ. რამიშვილი, ვ. სამხარაძე, ა. ლომკაცი, გ. ვაიძე, ნ. სიხარულიძე, ვ. ელიავა, სოფრომიძე, სადირაშვილი და მუშარიშვილი. კანდიდატებად: კაკაბაძე და შარია.

ამის შემდეგ საბჭომ განიხილა საკანდიდატოებში ტუბერკულოზის ბრძოლის საკითხი და სასურველთა საქმეზე მონაწილეობის შესახებ საკანდიტატოებში ტუბერკულოზის ბრძოლის შესახებ. ამხ. ხელაძე მოახსენებს სხდომას, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელსაც კავშირმა მიმართა შუამდგომლობით, დაადგინა საკითხი გადაეცეს დასკვნისათვის პროფ. კავშირთა საბჭოს სასურველი საქმეზე მოსაწვევთა კავშირის წარმომადგენელი ამხ. ფირცხალავა ამტკიცებს ეკლესიის პარიოდში ხსენებულ საკანდიდატოებში ტუბერკულოზის ბრძოლის მიზან შეუწყობლობას, რომელიც ამრავლებს მუშამუშათა რიცხვს და 2000 სულამდე მიაღწია უკვე. ის მოითხოვს დეკრეტის შეცვლის აუცილებლობას.

სხდომამ ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, იცნობს თუ არა მიზეზი ასეთი ზომით მთავრობის ნიშანი სასურველთა კრიზისში, შესაძლებლად სცნო საკანდიტატოებში გამოცხადებულ იქნას კონფისკაცია, მომზადდეს, შეკრებილი, ტუბერკულოზ ზომით, სუფიქსი და „პროპაგანდა“.

ამხ. ჩხენკელი მოხსენებს აჯამებს მუშათა სასახლის პროექტ. კავშირების საკითხის განხილვაზე. ამის შესახებ საბჭომ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: რომელიც დაიბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის 25 აპრილის ნომერში.

შრომის სამინისტროში წინადადება მისცა პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატს, გაეგზავნას თავისი ეკეხი წარმომადგენელი ბაზარზე სანიტარულ კონტროლის გასაწევად. საბჭომ წინადადება მისცა ცხელნი კავშირებს, თავის შემადგენლობიდან აირჩიონ ერთი სანდო და ხსენებულ საქმისათვის გამოსადეგი წარმომადგენელი, რომელიც განთ ცირკულირებულ უნდა იქნას სხვა ყოველ ფვარ სამუშაოდან. წვრილ კავშირებს შეუძლიათ თავისი წარმომადგენელი გაგზავნონ დამხმარეთ, მაგრამ უკანასკნელი მარტო ამ საქმეზე არ იქნება და სამინისტრო სავა ჯამაგირსაც ვერ მიიღებს. სეკრეტარიატს ევალება მოვლეა კავშირების მიერ გაგზავნილი პირი უკანვე გამოიწვიოს, თუ ის ხსენებულ საქმისათვის გამოსადეგი არ იქნება.

ამხ. ჩხეიძე მოახსენებს საბჭოს სეკრეტარიატი და ტუბერკულოზში მომსახურეთა კავშირის გამგეობის შორის არსებულ ერთ ნორმალურ მდგომარეობის შესახებ, რომელმაც იწვევს ეს საქმე, რომ სეკრეტარიატის ყოველივე ზომიერი ინტერესები უნდა შეეწყოს კავშირის გამგეობას. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ კავშირის არსებულ გამგეობა წინადადებას აძლევდა რა სეკრეტარიატს მასთან შეთანხმებით ემუშავნა, არ სურდა გვერდი ავეხადა იმ ბრალდებებზე, რომელიც გამოთქმული იყო ძველი გამგეობის მიერ სეკრეტარიატის შესახებ. ამისათანავე მრავალი წარმოებებში მუშათა დიდი რიცხვით, სცნობენ რა პროტესტს. იმის წინააღმდეგ, რომ გამგეობა თავზე ახვევს მასსას თავისი შეხედულებას და აზრებს, გამგეობის გვერდს უვლიან და შეთანხმებით სეკრეტარიატთან პირდაპირ დამოკიდებულებაში. ამის გამო სეკრეტარიატი დაადგინა კავშირი დაუკავშირდეს პირდაპირ მუშებთან, და ისინი მჭიდროთ შეაკავშიროს.

საბჭო იწონებს სეკრეტარიატის გადაწყვეტილებას—პირდაპირ კავშირი დაიჭიროს კავშირის წევრებთან.

ამხ. თოფურიძე აცნობებს, რომ თბილისის პროლეტარიატი მოითხოვს თავის ხელმძღვანელ ორგანიზაციებისაგან პასუხი მოეთხოვოთ ის გარემოება ის წარმომადგენელს ლენინს, რომელმაც სეკრეტარიატისა და საბჭოს წარმომადგენლებს უწოდა რა ყვითელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, შეურაცხყოფა მიაყენა მათ.

მცირე ბაასის შემდეგ საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის 25 აპრილის ნომერში.

ამის შემდეგ საბჭომ უფლება მისცა სეკრეტარიატს გაგზავნოს წინადადებანი ყველა კავშირებში თუ ის ამას საჭიროდ ჩაინახავს.

პროვინცია

ბორჯომის ქალაქის თავმა ვექ. ლანდიამ ბორჯომის მამულის სამმართველოსა და ქალაქის თვითმართველობის ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა მოხსენება, რომელიც შემდეგ თეზისებს შეიცავს:

1) ბოლოდროინდელი ბორჯომი წარმოადგენს ისეთ ადგილს, სადაც თავს იყრის სამიმოსვლო გზები და ეკონომიური ინტერესები ისეთი თვალსაჩინო კუთხეებისა, როგორიც არიან: ახალციხე ახალქალაქის მაზრები, აბასთუმნის და ბაკურიანის რაიონები და არტაანი, ამიტომ რესპუბლიკის მთავრობის ინტერესს შეადგენს, რომ ბორჯომი წარმოადგენდეს ძლიერ თვითმმართველ ერთეულს, სადაც მას ითქმის შეეძლოს ზრდის პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიური კავშირი ზემოთ დასახელებულ ქვეყნებთან.

2) ბორჯომში ფაქტიურად არსებობს ორი მმართველობა: ბორჯომის მამულის სამმართველო და ქალაქის თვითმმართველობა.

3) ბორჯომის მამულის სამმართველოს ეკუთვნის მთელი ყოფილი სახელმწიფო ქონება, ე. ი. ბორჯომის ტერიტორიის ნაწილი ტყე მინდვრებისა, ქარხნებისა და სამკურნალო წყლებიც გარდა მის ხელშია: წყალსადენი, ელექტრონის სადგური, კანალიზაცია, გზები, ბაღები, შენობები, სოფლის მეურნეობის გამოცდილი შენობები—სასტუმროები, სადგომები და სხვა საზოგადო ხასიათის კეთილმოწყობილობანი. მისი ორგანიზაცია მიეკუთვნება დანიშნული მოხელეთათვის და მოკლებულია საჯარო უფლებამოსილებას.

4) ბორჯომის თვითმმართველობა არის რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველი და თვითმმართველი ერთეული, რომელიც თავის მოქმედებით და შეკავშირებული ორგანიზაციით იცავს ადგილობრივ წესრიგს, ატარებს პოლიტიკურ ხაზს, ეწევა ხალხის მართვასა და განაგებს, იცავს მამულის სამმართველოს ყოველგვარი ხიფათისა და დაზიანებისაგან, აღჭურვილია საჯარო უფლება-მოსილებით და მთელი მისი ტვირთი მართვა განვითარებისა და ქალაქის ცხოვრების მოწყობის საქმეში მას აკისრია მთავრობიდან და ხალხიდან, მაგრამ ფაქტიურად ადგილობრივი ქალაქის ცხოვრების არც ერთი დარგი არ არის მის ხელში, მისი ფაქტიური მდგომარეობა ეწინააღმდეგება მისს იურიდიულ უფლებამოსილებას.

5) ასეთი მდგომარეობა ადგილობრივად ქმნის ორმხრივობას, რომელიც ზიანს აყენებს, როგორც ადგილობრივ ისე რესპუბლიკის ინტერესებს.

6) ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრი იჩენს ორ ჯგუფს მიმდინარეობისას, ერთნი ემხრობიან მამულის სამმართველოს ქალაქის წინადადებას, მეორენი ქალაქს მამულის წინადადებით.—მამულის სამმართველო ან ქალაქი—ასეა დასმული კითხვა, ამით თვითეულს საქმე უკან იწევს, ქალაქი ეცემა ქმნის, მამულს ისევ უფლდება, რაც გაუთავებული წინარეგობა.

დასკვნა: 1) აუცილებლად უნდა გაირკვეს მამულის სამმართველოსა და ქალაქის ურთიერთი დამოკიდებულებანი

2) ქალაქის თვითმმართველობას უნდა გადაეცეს: გზები, განათება (ელექტრონის სადგური), წყალსადენი, კანალიზაცია, ბაღები, მოედნები, სავაჭრო სამახრო ადგილები, საზ. პოლიტიკური შენობები, გან აკუთრებით სასტუმროები და სხვა საზოგადო სარგებლობის ხასიათის დაწესებულებანი, აგრეთვე მინერალ წყლის ექსპლოატაცია, რომელიც დღეს აქვს კერძო პირს, რომ ამით ქალაქის ფაქტიური მდგომარეობა შეეფერებოდეს მისს იურიდიულ უფლებამოსილებას.

3) მამულის სამმართველოს უნდა დარჩეს ტყე, მინის და მადნების ქარხნები, აგრეთვე მინერალური წყლის ექსპლოატაცია და მისი მართვა-გამგეობის უფლებაც მხოლოდ ამ საგნებზე უნდა გავრცელდეს. ამით მამულის ფაქტიური მდგომარეობა სრულებით შეეფერება მისს დანიშნულებას, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფო მეურნეობის მთელი მატერიალიზმში.

4) ქალაქის გაფართოების კეთილმოწყობისათვის მთელი პარტიონომიისათვის და აგრეთვე ქალაქის მოწყობისათვის საჭიროა ხარჯების დასაფარავად ბორჯომის ქალაქის თვითმმართველობა აძლევდეს მთელ ქალაქის ფარგლებში არსებულ უძრავ ქონებათა შეფასების და ბეგრის შეწერის კანონით მინიჭებულ უფლებების ფარგლებში (საქალ. დებ. მე 4 და მე 6 თავები).

5) ამით საჭიროებით მოწესრიგდება ქალაქისა და სამმართველოს ურთიერთობა და დამოკიდებულება: ქალაქის თვითმართველობას მიენიჭება რესპუბლიკის ძირითადი ერთეულის მართვისა და თვითმართვის ფუნქციები, მამულის სამმართველო კი გახდება სახელმწიფო წარმოებათა სამეურნეო დაწესებულებათ.

ნერ. რედაქციის მიმართ

უღრმეს მადლობას ვუძღვნი ავლაბრის რაიონის სოციალურ დახმარების განყოფილების სახელით ამხ. ქ. წერეთელს და ტ. ბოცვაძეს და მ. ბუზიაშვილს, რომლებმაც ხსენებული სახლით ინიციატივით ნინა წამალაშვილის ქალის ქორწილში, ნეფე დედოფლის საჩუქრის ნაცვლად შეკრიბეს 1110 მანეთი და გადმოგვცეს. შემომწირველთა სია: ზაქარია გოგიაშვილმა—150 მ. გ. ბერეკაშვილმა—100 მ. თ. მეჯრიძეშვილმა 150 მ. ქ. მელაძე—100 მ. ი. რეხვიშვილმა—50 მ. ელ. პაპავაძემ 20 მ. ბაგრატ არუთინოვმა 50 მ. ა. გოგიაშვილმა 50 მ. ე. მენთეშაშვილმა—20 მ. თამ. ბერეკაშვილმა—50 მ. ილია მეჯრიძეშვილმა—50 მ. ს. ბერეკაშვილმა—100 მ. სოლ. ბერეკაშვილმა—50 მ. ნ. ნინა წამალაშვილმა—50 მ. ს. ხაჭაროვმა—50 მ. მ. მენთეშაშვილმა—20 მ. გ. ბერეკაშვილმა—50 მ. ლადო მადლობას ვუძღვნი შემომწირველთ.

ავლაბრის რაიონის სოციალური დახმარების განყოფილების თავმჯდომარე ოლ. მზ მდა ბაქრაძე.

განცხადებანი

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს გასინჯვისთვის შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—5)

ექიმი

კბილის ისიას მე პოლონი

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებით ავადმყოფებს დილით 1—3 ს, საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—88. (1304 25—2)

მეტიცინის დოქტორი

ივ. ღოღაძე

სიფილისი, ვენერიული და კანის. ავადმყოფობა, მიღება საღამოს 4—7 საათ. მენნიკოვის ქუჩა, სახლი № 8, ბინა № 5. პლეხანოვის პროსპექტის შესახვევში. (1259—34—5)

ექიმი

მ. ა. შაფრანი

სპეციალური სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალები 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქუჩა № 33. (1288 25—3)

კბილის ექიმი

ე. თ. ღორი-მელიქიშვილი ჯიბლაძისა

და მისი ასისტენტი მ. ა. დადიანი იღებენ კბილით ავადმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ ცუდ/ორმაგ-მაწყობრი კბილებს. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ და საღ. 4—6 საათ. ანას ტასის ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (21—5)

დოქტორი

ზ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან და ლაშ თავ—ქალთა და ბავშვების იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1350 25—1)

ექიმი

ი. ი. ჭაიშვილი

იღებს სპეციალურად: სიფილისით (შეშხაპ. 606—914) ვენერიულ და საშარდე ორგანოებით სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. ლერმონტოვის ქუჩა № 72, ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (1324—)

ექიმი

ხოლოდნან ისააკ მ. შოშიაშვილი

იღებს ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. მელიქის ქ. № 5. 1303—25—3)

ექიმი ა. დ. კაკაბაძე

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვ“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (1343 25—1)

თბილისში

პროფესორი დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

გადავიდა ბორიშვილის ქუჩაზე ა. ი. არუთინიძის სახლში, № 5, ქაშვეთის ეკლესიის ახლოს, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. მიღება შინაგანი და ნერვების სნეულებებით ავადმყოფთა დილით 12—1 ს, საღამოთი 5—8 საათამდე. (1337—25—1)

ექიმი

პ. შ. ხარითონოვი

სპეციალურად კანის და ვენერიული სნეულებები (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ხერსონის ქ. № 9, ვაკზალის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1323 25—2)

ოზურგეთში

ქალი ექიმი

ა. გაბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების ქრონიკული ანთებით „ტუბერკულოზის“ და „ცისტიტით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 336.)

ექიმი მ. ა. ხაბეიშვილი

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37 ავადმყოფები ღარიბთათვის უფასოდ.

ექიმი ქალი

მ. მ. ალფაევი

წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველ დღე 12—2 საათამდე 5—7. სპეციალურად სინუსით ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი

ნ. ლ. ცერიაშვილი

იღებს ქალურ და ხახვით სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღე 1—3 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 კუთხე ტურგენევის ქუჩისა.

(1325—25—2)

კერძო საავადმყოფო

ყოველნაირი ავადმყოფთათვის

ძმ. ე. მ. მჭედლიშვილის

პლეხანოვის (მიხეილის) პრ. № და კოჟორის. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—97 იღებს 8—3 ს. ვენერიულ: სიფილისით და კანის ავადმყოფების მიღება აგრეთვე საღამოთი 4—7 ს.

ყოველდღიურად უფასოთ დილ. 8—11 ს. სამკურნალოში ავადმყოფებს იღებენ შემდეგი ექიმები:
- ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
- დ. მ. ჯაფარიშვილი—შინაგანი და ბავშვთა სნეულ.
- ნ. ნ. ჯავახიშვილი ნერვებ. და ფსიქიატრია.
- ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი.
- ა. გ. მეჯაგარიანი—საერთო ქირურგია (ქირურგიული) სნეულ.
- ვ. მ. მჭედლიშვილი—ვენერიული, სიფილისის და კანის ავადმყ.
- ნ. ხ. ართმელაძე—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
- ზ. მ. ცხვედაძე—თვალების სნეულებ.
- ვ. ლ. შალამბერიძე—დედათა სნეულ. (ქალების და შინაური).

სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაციები, ოპერაციები, ელექტრონიზაციები, ყველგვარი ანალიზები, კანზე ქავი სხვადასხვა მასაჟი, შეშხაპუნება „606“ და „914“ აგრეთვე მიიღება წიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. (5. 25—2)

კვირას 2 მაისს ქვიტირის თემში მუხიანის სადგურის მახლობლად დანიშნულია

სამარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა მუხრანის ყათენი. ვაჭრობა დაიწყება ასი ათასი მანეთიდან ვაჭრობის დაწყების წინ მოიჯარადრემ უნდა წარმოადგინოს გამგეობის კასაში ათი ათასი მანეთი ფული. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქვიტირის თემის გამგეობაში.

ქვიტირის თემის გამგეობა. (კუპ. 374—3—3)